

ବେଶ୍ୟାକି ଶାକିନାମ

ՑԱՅՆԱՐՈՒ ՀՐԱՄԱՆԱԳ



ପ୍ରକାଶନୀ.

ଶ୍ରୀପ୍ରଦୀପ ସାହେବଙ୍କୁ ମହିଳାଲତା ପାଦଶିଖିଳ
ସାଧକୀୟ ଗାମରୁକୁ ଦିଲା.

1922.

10/107



სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელოვნო-
სალიტერატურო ურნალის „ლომისის“ რედაქციაში თანა-
მშრომელები ათვალიერებდენ უცხოეთიდან ახლად მიღებულ
უკრნალ-გაზეთებს. ერთმა რედაქტორთაგანმა ყურადღება
მიაქცია ფრანგულ გაზეთ „ტანი“-ში დაბეჭდილ წერილს ემილ
ჰენრიოტისას—Les Fleurs du Mal--ის უკანასკნელი კორეკ-
ტურის შესახებ. ემილ ჰენრიოტი იძლეოდა სრულიად ახალ
და უცნობ მასალას შარლ ბოდლერის დასახასიათებლად
„ბოროტების ყვავილების“ უკანასკნელი კორეკტურის მი-
ხედვით. ბიბლიოფილს რომლის სახელი საფრანგეთში ლე-
გიონია, შეუძენია ეს ფურცლები ბოდლერის ცნობილი გა-
მომცემელის პოლემალისის წიგნთსაცავიდან ამ უკანასკნე-
ლის გარდაცვალების შემდეგ. რედაკციის თხოვნით ხსე-
ნებულმა კოლეგამ „ლომისისათვის“ დამზადა შენიშვნა
ემილ ჰენრიოტის წერილის გამო. და, ჩაც ამეამად უმთავრე-
სია, ბიბლიოფილებზე ლაპარაკის დროს მან მოხდენილად
ფრჩხილებში ჩაურთო ასეთი წინადადება: „ბიბლიოფილობა
დიდი კულტურული მოვლენა; ფრანგებს, მგონია,
პირველი ადგილი უჭირავთ ამ საქმეში; ჩვენში ცნობილი
ზაქარია ჭიჭინაძე დიდი ბიბლიოფილია. ჩვენი მწერლობის
აწინდელს თაობას მართებს მისი ლირსეულად დაფასება“. ეს
იყო პირველი შენიშვნა; ისავე თანამშრომელმა საკითხი ზა-
ქარია ჭიჭინაძის ლირსეულად დაფასებისა დასვა ჯერ მწე-
რალთა კავშირის პრეზიდუმში, შემდეგ მწერალთა საბჭოში;
ორივე ადგილის გადაწყდა ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეს
დაეკავშიროს ქართული წიგნის დღე. ორჩეულ იქნა
საინიციატივო კომისია. მწერალთა კავშირის საბჭომ მაშინვე

გამოსტა მოწოდება, რომელშიდაც იწვევდა მთელ საქართველოს მონაწილეობა მიეღო ამ დღესასწაულში. მთლიანად მოგვყავს ეს მოწოდება: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსაგან.. მოწოდება მხკოვანის მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეისათვის.. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა გადახდილ იქნას ჭაღარით შემოსილი მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი, და დაუკავშიროს მას ქართული წიგნის დღესასწაული. ქართული წიგნის ულია საქართველოს. შემოქმედებისა, როდესაც მისი ისტორია დაიწერება იგი იქნება არა მარტო წიგნის, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვნენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან მისი აყვავებისა და აღორძინების: საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე. 50 წლის განმავალობაში მოღვაწეობს ეს რაინდი, ქართული წიგნისა. როდესაც იგი ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით. გატაცებული პიროვნებანი; ზაქარია ჭიჭინაძე თავდადებით. შეუდგა უკეთილ შობილებს საქმეს: მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით. მან მრავალი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას. მთაწმინდის უბნები კიდევ ინახავენ ლეგენდებს იმის შესახებ თუ ვის ჭერ ჭვეში იფარებდა თავს ჩვენი დევნილი ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ სახელი გაათქვა ლიტერატურაში, პოლიტიკაში და სხვ. ჩვენ არ მოგვწყინდება ამ სახელების ჩამოთვლა, ესენი არიან ყველა საქართველოში მოქმედი. პოლიტიკური პარტიების ლიდერები, პოეტები, ბელეტრისტები მეცნიერების ასპარეზზე მომუშავე აკადემიკოსები, პროფესორები. ამათი რიცხვი ასობით ჩამოითვლება. უფრო მეტია მათი რიცხვი რომელთაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ ზაქარია ჭიჭინაძესთან; სამაკმადიანო საქართველოში პირველად შეიქრა ქართული

წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით. იქ მშობლიური ენის
აღდგენის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მან. მას პირ-
ველს ეკუთვნის აგრეთვე წერილები ქართველ კათოლიკების
შესახებ და დაკანონება სიტყვისა: ქართველი კათოლიკე. მან
პირველმა დასწერა ქართველი ისრაელების ისტორია, მეტად
მნიშვნელოვანი წიგნები თხებისა და ლაზების შესახებ. მას
ეკუთვნის საქართველოში პირველი წერილი კარლ მარქსზე.
მისი წიგნის „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოსვლის გამო 1887
წელს. პირველმა ახსენა ახალი სახელები საქართველოში:
პრუდონი, ლუი ბლანი, რობერტ ოუენი, სენ-სიმონი,
ფურიო. ის თანამშრომლობდა საქართველოს უველა გაზე-
თებში და მათში დაბეჭდილი მასალები იქნება რამდენიმე ტომი,
რიცხვი ამ გაზეთებისა უდრის რამდენიმე ათას ნომერს. ზაქა-
რია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის თრას თრმოცდაათამდე წიგნი.
ამ რიცხვში დაბეჭდილია მხოლოდ ას თოთხმეტი, დანარჩენი
კი, მეტად ძვირფასი მასალა. ჯერ კიდევ დაუბეჭდავია. ძნე-
ლია დათვლა იმ ავტორებისა, რომლებიც ცალკე წიგნად
გამოიცენ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. მან მოიარა მთელი სა-
ქართველო, მის სხვადასხვა კუთხეში კრებდა ხალხური შემო-
ქმდების ნიმუშებს, ლეგენდების, ზღაპრებს, ლექსებს. ქარ-
თული უურნალ-გაზეთები სავსეა ზაქარია ჭიჭინაძის ისტო-
რიული წერილებით. ქართული ლიტერატურის კორიფეები
დოდ დაფასებას პოულობდენ ზაქარია ჭიჭინაძისაგან. წინედ
უცნობი და შემდეგში განთქმული სახელები ხშირად პირვე-
ლიდ იბეჭდებოდენ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. იგი ერთადერთი
ადამიანია, რომელიც პირადათ იცნობდა ყველას უუძველესი
ქართული უურნალის „ცისქარის“ თანამშრომლებიდან დაწყე-
ბული. იგი ერთად ერთი ინახავს ძვირფას მოგონებებს ქარ-
თული წიგნის ალორძინებისას. იგი გაპიროვნებული ტრადი-
ცია ჩვენი XIX საუკუნის კულტურისა, იგი მუდამ სუნთ-
ქვდა ქართული წიგნის მაღაზიების ჰაერით. მისი ტიპიური
ბიბლიოფილის სახე მარად ანთებულია ქართული წიგნისადმი

სიყვარულით და თვითონიც წიგნია ცოცხალი. დადგა დრო, როდესაც დაფასებული უნდა იქნას ეს უბრალო, მაგრამ დიდი პიროვნება. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოუწოდებს მთელ საქართველოს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო დღესასწაულში. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ლიხს იქით და აქეთ ენერგიულად გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას და ეს იქნება უკეთესი თავდები ამ დღის ბრწყინვალედ ჩატარებისა. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო. ტფილისი 1922. 3. ოქტომბერვალი. ხელოვანთა სასახლე“

მანერა ერთი და იმავე საგნისადმი მოპყრობისა იცვლება დროთა სკოლასთან ერთად. ოცი, ოცდაათი წლის წინადზაქარია ჭიჭინაძის მნიშვნელობა ფასდებოდა უფრო სხვაგვარად, ვინემ დღეს. ეგრედ წოდებული „საზოგადოება“ უცქროდა მას ან გულგრილად ან ირონიით. მაგრამ ასე არ მოიქცეოდა მაშინაც კი ის ახალგაზრდობა, რომლის ინციატივითაც იმართება ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი, ეს ახალგაზრდობა თამამად ეტყოდა ყველას: და აკვირდით ზაქარია ჭიჭინაძეს: შეიძლება თქვენს წინაშე დგას რაღაც მეტად არა ჩვეულებრივი და ძვირფასი? შეიძლება ცოტათი მაინც გაოცდეთ ამ ორგინალური და ძლიერი ადამიანით? დღეს არავისთვის საეჭვო არ არის მისი მნიშვნელობა: ჭაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული წიგნები ყველაზე უმჭერმეტყველესი ადვოკატია მის სასარგებლოდ. და იგივე საზოგადოება, სახლმწიფო თეატრში შეკრებილი ეხლა სხვა სახით დაინახავს ზაქარია ჭიჭინაძეს. მანერა ერთი და იმავე საგნისადმი მიბყრობისა უეჭველად იცვლება დროთა სკოლასთან ერთად. მაშინ გამოცემულ „ვეფხვის ტყაოსან“ -ში არავინ იძლეოდა ფასს, ეხლა კი ყველა სიხარულით გადაიხდის რა გინდათ ფასსაც რომ შესაძლებელი იყოს შოვნა. როგორ გინდათ იქონიოთ წიგნთ-საცავი, თუ იქ არ არის შოთა რუსთაველი? ეხლა წიგნის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ლიაკარების მტვრევაა. ეხლა ყველამ იცის რა არის წიგნი რა არის ჩვენთვის ქართული წიგნი. მიუხედავად იმისა რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ქონდა, შემოსავალი მრავალი წლების განმავლობაში იგი თავდადებით ებრძოდა წვრილ მევალეებს, სიღრიბე ნებას არ აძლევდა ეცხოვრა ისე, როგორც სურდა და ებრძო-

და სამოსამართლო ბოქაულების აღმასრულებელ ფურცლებს.
ხშირად მიმართავდა მეგობრებს, როდესაც მდგომარეობა აუტა-
ნელი ხდებოდა. დღეს ზაქარია ჭიჭინაძე ყოველივე ამის შე-
სახებ უფრო ნაკლებ ლაპარაკობს, ვინემ შეუძლია და აქვს
უფლებაც. და როდესაც წარმოიდგნ თუ რა ძვირფასია ყოვე-
ლივე ის, რაც მან გააკეთა, უფრო მძიმედ და აუტანელად
მოგეჩვენებათ მისი ცხოვრება. არავისთვის არის საიდუმლოება,
რომ ვერავითარი ნიჭი, ვერავითარი გენია ვერ გაიმარჯვებს
თუ მისი გზები დაშორებულია საზოგადო გემოვნებას. აიღეთ
მაგალითი უდიდესი მსახიობის, რომელიც სწორედ თავის
დროს დაიბადა. მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი
გაგება, როდესაც თვითეული პოულობს მასში თავისთავს;
როდესაც იგი იძლევა მას, რაც ყველასათვის გასაგებია და
აუცილებებლი. ცხადია საზოგადოება ოვაციას უმართავს,
თაყვანისკემით უცქერის მას. თავმოყვარეობის დაკმაყოფილე-
ბასთან ერთად იგი სიმდიდრესაც იძენს: იგი რაფაელია,
ვერონეზი რუბენსი, ვან-დეიკი, ველასკეზი. რომ გახდე
„ბედნიერი“ კაცი, დიდი ხელოვნებაც არაა საჭირო: პირ-
ველი ხარისხის უნიჭობა თამამად დაჩრდილავს გენიოსს.
შეიძლება სრულებით პოიტი ან იუო — მაგრამ სახელი გაით-
ქვა: შეიძლება არა გესმოდეს რა — მაგრამ იუო წევრი ყველა
აკადემიების. განა ცოტაა ასეთი მაგალითები? მთელი ფოკუსი
იმაშია, რომ დაიბადო შესაფერ დროს და მისცე ის, რასაც
საზოგადოებრივი გემოვნება დაჟინებით მოითხოვს. თორემ
რა არის ქართული წიგნი ნაწილობივად გადავვარებისა და
დეგენერაციის გზაზე შემდგარ ხანაში? ყველაფერზე უფრო.
მძიმეა — გააჩნდე ჭვეყანაზე ან ძლიერ აღრე, ან ძალიან გვიან.
ამ შემთხვევაში ვერავის უშველის ვერც ნიჭი, ვერც გენიალო-
ბა. გენიალურ პიროვნებას აღვილათ ვერ დააქანებ შეთანხმე-
ბისაკენ, — იგი ორგინალური, ძლიერი პიროვნებაა. იგი არავის
არ ემორჩილება, არც შეგუებას ცდილობს, მაგრამ მოით.
ხოვს მიიღონ ისეთი, როგორიც არის. ზაქარია ჭიჭინაძე.

ვეიან არ დაბადებულა. მაგრამ მეტად აღრე მოუხდა საზოგადო
ასპარეზზე გამოსვლა. მსი გზა იყო თითქმიც სრულიად უფე-
ლი გზა, ანალი გზა, მან დაარღვია ტრადიციები იმის ნაცვ-
ლად რომ მონურად ეარა იმ გზებით, და რა თქმა უნდა, ეს
იყო ეკლიანი გზა. რევოლუციონერად გახდომა—არ არის
დამნაშაული, იგი ლვაწლია, ხოლო მან, ვინც ამ გზას დაად-
გება, თავიდანვე უნდა იცოდეს რაც ელის. ეხლა ზაქარია ჭი-
ჭინაძეს ჩვენ პატივს ვცემთ—მაგრამ პირველად ალბად იგი ყვე-
ლას აღფშოთებამდე აღიზიანებდა, უკარგავდა მშეიღობიან ძი-
ლს. ზაქარია ჭიჭინაძის ლვაწლი იმაში გამოიხატება, რომ მან
თავიდანვე არჩეულ გზას არ გადაუხვია, რადგან პეტრიანდა ენე-
რგია და დარწმუნება თავის მოწოდებაში. ან და, შეიძლება ზექა-
რია ჭიჭინაძეს არ შეეძლო ყოფილიყო სხვანაირი: ხედავდა მას,
რასაც სხვები ვერ ამჩნევდენ და გვაძლევდა მას, რაც მო-
გვცა, და ამნაირად გასაოცარიც არაა, რომ საზოგადოება იმ
თავით არ უჯეროდა მას. საზოგადოება, თავისი არსებით
მეტათ რბილი და ცვალებადია: აიღეთ არჩევნები. სიმპატიები
და ანტიპატიები აქ მულავნდებიან, ალაპშა უწყის, რა საზო-
მით და ან რისი მიხედვით: საზოგადოება ანგარიშს არ აძლევს
თავის თავს-რატომ აღმერთებს დღეს მას, ვინც გუშინ ეჯავრუ-
ბოდა? ასეთი იყო ზაქარია ჭიჭინაძის ბედიც. იგი უბ-
რალოდ ცხოვრობდა. საქმე ისაა, რომ მას შეეძლო რიგიანად
ეწარმოებია საქმები, შემოსავალი გასავალთან შეეფარდებია.
ყოველთვის სტუმართ მოყვარე და კეთილშობილზ ქართველის
სახლის კარები ლია იყო ყველასათვის. სუფრასაც ისე შლიდა
როგორც შეეძლო, ამასთან ერთად—რატომ არ უნდა ითქვას
ეს—იგი უფრო პოეტი და მეოცნებე იყო, ვინემ ადამიანი ცო-
ტათ თუ ბევრათ პრაქტიკული. ნუ ვინანგეთ ჩვენ ამას; ზაქარია
ჭიჭინაძეს ეს გარემოება აძლევდა დღით და ღამით შრომის
სიხარულს: იყო ხანდახან დაღლილობა, რომელიც მუდამ თან
სდევს დიღსა და განუწყვეტილ შრომას, მაგრამ არასდროს არ
ყოფილა უიმედობა. არა მარტო თვითონ ასაზრდოებდა. თავის-

თავს იმედით, არამედ ხედავდა რომ ამ იმედს იზიარებდა წრეები, რომლებიც თანდათან ფართოვდებოდენ. ამაში კრეფლა იგი ნეპისყოფასა და ნუგეშს. საზოგადოებრივი გაღვიძება ხდებოდა ნელა, მაგრამ ძალნათლად, უკომპრომისოდ. მას დღეს შეუძლია დარწმუნდეს საესებით გამარჯვებაში. ასეთი შრომა, როგორსაც ზაქარია ჭიჭინაძე ეწეოდა: დინჯი, დაფიქრებული, აუჩქარებელი. თორემ არის ასეთი შემთხვევებიც: იწყებენ ბრწყინვალედ. მათ თავიდანვე აქებენ, ადიდებენ; ისინი იშენებენ სასახლებს, რთავენ ათასფერად, ბრწყინვალედ. მაგრამ გადის რამდენიმე წელი და ქება-დიდების შაშხალები ჰქონებიან. მსხვერპლი უეცარი ცვლილებისა იტანჯება იმ გულგრილობისაგან, რომელსაც მისდამი იჩენენ, ამ გულგრილობას მალე სრულიად დავიწყება მოყვება. იგი იბრძვის, წვალობს, ბოროტდება, მაგრამ უფრო და უფრო ეშვება დაბლა. და ბოლოს თავისთავის რწმენაც აღარ ჩეხბა მას. და აი, მოდის, დავალიანება, შემდეგ სიშინელი სიღარიბე. მაგრამ ეს არაა სიღარიბე იმ ადამიანის; რომელიც ყოველთვის ლარიბი იყო: ესაა გაკოტრებული აზნაურის სიღარიბე, რომელსაც ახსოვს უკეთესი დღეები: სიღარიბე—სავსე სინაულით, თავისი თავისადმი საყვედურებით, მოუცილებელი და შურიანი მოგონებებით... განა ცოტაა ამისი მაგალითები საქართველოში? ყველაზე უფრო ძნელია ამნაირი სიღარიბის ლირსეულად ატანა, და ვინ იცის საღამდე გაგრძელდება ეს აგონია განწირულებისა და უიმედობის. ზაქარია ჭიჭინაძე ბედნიერია — რომ ასცდა ამნაირ გზას.

უპირველესი დამახასიათებელი თვისება ზაქარია ჭიჭინაძისა. არის მძლავრი, ლონიერი მშრომელის ტემპერამენტი, რომელიც მბრძანებლობს მასში როგორც ინსტიკტი, აუცილებელი, თვისება მისი ბუნებისა. იგი არ დაბადებული ევროპის დიდ ქალაქში საღაც ბავშვობიდანვე თვალწინ აქვთ ხელოვნების ნაწარმოებნი, საღაც ყველაფერი შეერთებულია, რათა გააღვიძოს და გააძლიეროს სულ მცირედი არტისტი-

ული მიღრეკილებანი. იგი არ დაბადებულა ერთ იმ ოჯახთა-
განში, სადაც ხელოვნება ან მეცნიერება შეადგენს მშობლე-
ბის პროფესიას, სადაც დილიდან სალამომდე საუბარია მჟვე-
ნიაერებაზე, სადაც გულდასმით ადევნებენ თვალყურს ბავ-
შის ხასიათს, აქეზებენ მეცნიერებისაკენ, მუსიკისაკენ, მხატ-
ვრობისაკენ, სადაც ოცნებობენ ბავშის სახელის ვანთქმა-
ზე. ის დაიბადა ტფილისის განაპირა უბანში მთაწმინდაზე.
მისი მშობლები იყვენ გლეხები, ნაძვილი გლეხები. მისი წი-
ნაპრები საკუთარი ხელით ამუშავებდენ მიწას. მამა მისი სრუ-
ლიადაც არ ცდილობდა რომ მისი შვილი საზოგადო მოლ-
გაწე გამოსულიყო, არ ცდილობდა ამას არავინ, ვინც კი გარს
ერტყა. ერთად ერთმა საჭართველოს მადლიანმა ბუნებამ შეუგ-
ნებლად და ინსტიკტიურად მიიყვანა იგი ამ გზამდე. ახალგაზ-
რობისას მას არავითარი საყურადღებო გავლენა არ განუკ-
რია, არაუითარი რწმენა. არ მიუღია, არავითარი აღზრდა;
იგი ყველაფერს იღებდა პირველყოფილი სახით და დიდხანს
იყო ქვის პერიოდის ადამიანის თანაბარ პირობებში რომელიც
სპილოს ძვლის ნატეხზე ხაზავდა მამრნტის სილუეტს. 14—18
წლამდე იგი ასრულებდა სახლში იმავე მოვალეობას რასაც
ოჯახის სხვა წევრები. მთელი რიგი მისი წინაპრებისა თხრი-
დენ მიწას, ხნავდენ, თესავდენ, ფარცხხავდენ, თიბავდენ თიფას,
ლეწავდენ კალოს. ხოლო უკანასკნელ ხანებში ზამთრობით
ტოვებდნენ სოფლებს და ქალაქებისაკენ მიეურებოდნენ ფუ-
ლისა და ქონების შესაძენად. ზაქარიას მამამ ამნაირად დას-
ტოვა ნაქერალა და ჩამოვიდა ტფილისში, სადაც ლომივით
ეკვეთა შავ სამუშაოს. შეიძინა აქ სახლები და სამუდამოდ
დაფუძნდა ქალაქში.

ენერგიული ტემპერამენტი დიდი ღირსებაა, მაგრამ ამას-
თანავე ღიღი უხერხულობაც: აზრდა ყოველთვის ომობს ენერ-
გიული თვისების მოწაფესთან,—მოწაფე, რომელსაც არ აქვს
საკუთარი სახე, უფრო მიმწდომი და მიმღებია მასწავ-
ლებლის გაკვეთილების, სიტყვის უთქმელად იტანს კრიტიკას,

კურს უგდებს რჩევა. დარიგებებს და იღებს შესაფერ სარგებელს, იღებს იმ ლირსებებს, რომლებიც წინად არ იყო მასში. წინააღმდეგ, არის მოწაფე, რომელიც თავისი პირადი შეხედულებით თვითონ აზროვნებს და არაფერი არ სურს მიიღოს ავტორიტეტებისკან. ძალიანაც რომ სურდეს, მას ეს არ შეუძლია. და აი ზაქარია მთაწმინდიდან დაეშვა დაბლა და ითავსებდა რა თავის-თავში სიკერძეს გლეხისას და ახალგაზრდისას, სრულიად თავის ნებას მიჰყვა ამაყად.

ყველაზე უფრო ტფილისში მას აოცებდა, თვითონ ტფილისი. ყველაფერი აშინებდა მას აქ: საზოგადო ზნეობა, ხასიათი, დროსტარება. იგი სწუხდა აქ დარიბებზე და საწყლებზე, უფრო უბედურებზე, ვინემ სოფლად. მას აშფოთებდა ხალხის გულცივობა, საქართველოს დედა-ქალაქი მას ეჩვენებოდა ზნეობრევ უდაბნოდ; მას ჰქონდა მტკიცე ხასიათი და ყველაფერს სერიოზულად იღებდა: აზრებსაც და გრძნობებსაც. მას აღონებდა გამოთქმათა თავისუფლება, აზრთა სიმსუბუქე, საყოველთაო სკეპტიკური განწყობილება ყველაფრისადმი. იგი ბოლომდე დარჩა გაუსწორებელ რაჭელ გლეხად, რომელსაც ვერასგზით ვერ გარდაქმნი ქარაფშუტა ქალაქელად, მისთვის უცხოა მისი ელევანტური წრეების სახე: იქ ნაქრალის იქით მძიმე შრომას ეწიოდენ მისი თანამოძმე გლეხები, და მათთან უფრო ნათესავური სულით დაკავშირებული, იგი მეტი თანაგრძნობით უყურებდა მხოლოდ ტფილისის მუშებს, რომელთა შორის ცხოვრობდა და რომელთა ჭირსა და ლხინს იზიარებდა: იგი თანაბრად განიცილება როგორიც მწუხარებას სახნავ-სათესი მიწისას, ისე არა ნაკლებად მჭერმეტყველ მწუხარებას ქალაქის ქვაფენილებისას. ევროპის ქალაქებში ხდებოდა რევოლუციები და ტფილისში ეს აღელვებდა ზაქარია ჭიჭინაძეს! მისი აზრით მუშა-რევოლუციონერია. გლეხი-ნაკლებად რევოლუციონერი, ახალგაზრდობისას რევოლუცია უდებოდა მის ტემპერამენტს. საქართველოში ესეც მეტად ხშირი მოვლენა. კრიტიკა, ირონია. ვერაფერმა ვერ მოშორდა

ზაქარია მისმიერ არჩეულ გზას. მას არავისთან არავითარი
საქმე არ იქნა. იგი არავითარ დათმობაზე არ მიდის. მან
გადაიარა თავისი რუბიკონი, დასწვა თავისი ხომალ-
დები. თვისება რაჭელი გლეხის ბუნებისა სერიოზულობა,
სიღინჯე და ხასიათის სიმკაცრე უფრო მოძრავი
ხდება ქალაქებში; მაგრამ მას აქ ყველაფერი აოცებს: ღრმად
კი სრულიად არ სწოდება გულს: ხანდახან თუ განიცდის მძი-
მე და შფოთიან მხიარულებას, მაინც არ იცის მან მხიარულე-
ბა სიტყვის მთელი მნიშვნელობით: შისი ცხოვრება შრომის მო-
ყვანე და მძიმეა. მძიმე კურტნის ქვეშ იგი ფიქრობს რომ ცხოვ-
რება ხუმრობა არა. მისთვის მთელი საფუძველი არსებობისა
არის ანგარიში, ეკონომია არა თუ სიმწრით ნაშოენი ფულე-
ბის, არამედ დროისაც. ასეთ მკაცრ შეხედულებას ცხოვ-
რებაზე აძალებს მას არა მარტო ხელმოკლეობა, არამედ ის-
ბუნებაც, საიდანაც იგი წამოვიდა. იქ თოვლი გვიან დნება.
მალალი მთები ინახავენ დინჯად მრისხანე და მოუსვენარ საი-
დუმლოებას: სასტუკი ქარი აყრის ნამჭერებს კლდეებს, სკდება
მეწყერი, რომელსაც მიაქვს სადღაცა ქაოსში მთელი სოფლე-
ბი. აქ იზრდება ულრკი სული, რომელიც ყოველ-
თვის სუფეებს მის სიღრმეში. ისაა უმაღლესი საფეხური სიმ-
პატიის, კეშმარიტი და მშვენიერი გამოთქმა სიყვაზულისა მოყ-
ვარისადმი, საუკეთესო თანაშემწე სამართლიანობისა ამ ქვეყა-
ნას. დაკვირდით ზაქ. ჭიჭინაძის პორტრეტი: იგი თანაბრალა
პოეტი და მოაზროვნე. იგი არ აძლევდა ნებას ოცნებების ბძა-
ნებებს მასზე ებატონებიათ. ნათელი გამომეტყველება მისისახისა
სავსეა დაფარული ძლიერებით. ერთი პორტრეტი საუკეთესოდ
გადმოგვცებს ამ მთვლემარე ძალისა და თვისისთავში დარწმუნე-
ბის გამომეტყველებას. რაც უფრო მეტს აკვირდებით და სწა-
ვლობთ წერილებსაც, ნათელი ხდება მისი დაღინჯებული, მაგა-
რი და სრული გონება. რასა, რომელსაც ზაქარია ეკუთვნის,
ყოველთვის განირჩეოდა მრთელი გონებით. იგი არ ბრწყი-
ნავს იხროა გაუგებარი სიღრმავით, მშვენიერებით და გრა-

კითხ, მოსწრებული სიტყვით და სხვა ასეთებით, მაგრამ ეს არც სჭირდება მას; უმთავრესი მისი სურვილია საქმიანი აზროვნება, რომ თავი აბუჩად არავის ააგდებინოს. ზაქარია ჭიჭინაძემ უფრო გააღრმავა ეს თვისება, მისუა მეტი კულტურა, და მოუმატა ბუნებრივ ნიჭის ყოველივე, რახაც აძლევს თანდათანი განათლება და ცოდნა თანდაყოლილ ნიჭს, ძალიან დიდი დრო მოანდომა. ზაქარია ჭიჭინაძემ კითხვას წიგნებისას. მთელი თავისი სიცოცხლის დღეებს ანდომებს, ამას.

ზაქარია ჭიჭინაძე დაიბადა 1854 წელს ოებერგლის გრუილისში. ზაქარიას მამა ახალგაზრდობის დროს ვე ჩამოვიდა ტფილისში ხოტევიდან, და არასდროს შემდეგ საზმობლო სოფლისკენ აღარ გამგზავრებულა. ტფილისშივე შეირთო ცოლად აუგილობრივი მოქალაქის მუსიკაშეილის ასული, უფაქისესი ზნეობის ადამიანი. შეიძინა ტფილისში სახლები და სიცოცხლის დღეები ტფილისშივე დალია. მას პყავდა 15. ქალ-ვაჟი; მეთხუთმეტე, ყველაზე უძუროსი ოჯახში იყო ზაქარია, ცოცხალი მაგრამ უტეხი ნების ბავშვი. ზაქარიას პირველი მოგონებები მცირროთაა დაკავშირებული აგ მჩავალი რიცხოვან ტახის პირველ შთაბეჭდილებებთან. არას დროთ არ წაიშენებიან ეს შთაბეჭდილებანი მშობლიური სახლისა. მამა მტკიცე ნების კაცი, მშრამელი ადამიანი. დედაც გამრჯელი, ძველი კარაბალინების მცოდნე მკურნალი ქალი, ისეთი, როგორითაც დღესაც მოფენილია საქართველოს დაბაქალაქები. 8 წლიდან ბავშვს ახსოვს თვისი თავი: ახსოვს ბატონყმობის გადავარდნის. პირველი დღეები (1864 წ.) ახსოვს შკოლა მთაწმინდაზე, სადაც იგი ჰიაბარეს და სადაც წერაკითხვას სწავლობდა ტატო წულიკიძესთან, შემდეგ თავზე ხელალებულ ყაჩაღთან ერთად. ისინი ბავშობისას დიდი მჩხანაგები იყვნენ. მაგრამ ამხანაგობა მაღუ ჩაიშალა: ერთხელ სრულად უბრალო რამეზე ჩხუბი ასტეხეს. შკოლის უფროსი მიემხრო ტატოს, რადგან მისი მშობლები გაცილებით უფრო მდიდრები იყვნენ, ვინემ ზაქარიასი. ზაქარია შეკლიდან დაითხოვდა. იგი მშობლებმა გადაიყვანეს ირაკლის სახელობის შკოლაში. სადაც მასწავლებლად იყო პეტრე უმიკაშვილი. იქ ზაქარია ჭიჭინაძის საყვარელი საგნებია-

ისტორია და გეოგრაფია. საშინლად ეჯავრება არითმეტიკა და ეს საგანი ხდება მიზეზი მისი კილევ შეკლიდან დათხოვისა. მოუსვენარი, მოურიცებელი, დაუმორჩილებელი ბავშვი მიტოვებულ იქნა თავისთავის ანაბარად. როგორც მშობლების ისე სხვა და სხვა დეიდებისა და მამიდების რჩევა დარიგება ვერაფერსა სჭრის? მისი ასპარეზია ქუჩა, ბაზარი. მხოლოდ სალაშოებით მიღის სახლში, ხმამალთა, კითხულობს სახარებას, ვეფხისტყაოსანს, პერგამენტებზე ნაწერ წიგნებს. ამის შემდეგ იგი ქაშურთის შეკლაში მიჰყავთ, ზაგრამ აქაც თავს ანებებს სწავლას. შეჰყავთ საკვირაო სამიჯნო შეკლაში, სადაც რამდენიმე ხუროსთან, ხან თამბაქოს ქარხანაში მუშაობს, ხან სასტუმროებში დგება მოსამსახურედ. ასეთი ადგილიდან ადგილზე ხეტიალის დროს, შეუკვარდება ქართული წიგნი. შრაბის ქუჩაზე ერთხელ მიღის ექვსი ქართველი კაცი: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ერთი სასტუმროს წინ ისინი ამჩნევენ 15 წლის ახალგაზრდას, რომელსაც ხელში გაზეთი „დროება“, უჭირავს და გულმოღვინებით კითხულობს. სერგეი მესხის აცცებს ეს სასიხარულო აღმოჩენა: გაზეთი „დროების“ ახალი მკითხველი; იგი დიდხანს, ესაუბრება ახალგაზრდა ზაქარია ჭიჭინაძეს, რომლის დროსაც შეიტყობს რომ ეს ახალგაზრდა დღისა და ღამის განმავლობაში წიგნის კითხვაშია გართული, რომ მას „დროებაც“ აქვს გამოწერილი; სერგეი მესხი იახლოვებს ამ გასაოცარ ახალგაზრდას. შემდეგში ზაქარია ჭიჭინაძე კიდევ უფრო ღრმად მარხავს გულში ამ სიყვარულს წიგნისაღმი, ხდება ერნაირი ფანატიკოსი წიგნისა. იქ, სადაც ვერ გრძნობდა წიგნს იგი ავად ხდებოდა აუტანელი მოწყენისაგან, იყინებოდა სულიერი სიცივისაგან. ავადმყოფურად ფხიზელ სმენას უნაზესი მუსიკად ეჩვენება წიგნების ფურცლების.

შლა. როდესაც მის ახლო იყო ვინმე, რომელიც აღმო-
ჩნდებოდა გულგრილა წიგნისაღმი, ბავშვი განიცდიდა შძიმე,
არააღამიანურ წამებას. როდესაც მას უშლიდენ კითხვას, იგი
გულწრფელად ნატრობდა სიკვდილს. ამნგირ დროს ნაკლებად
თუ ვინმე გაიგებდა მას. წიგნს მიყავს იგი გონების სიამაყეჭ-
დე. მან იცის რომ მასში ყველაფერი გამთბარია წიგნით. ამ
მუდმივმა წყურვილმა წიგნისამ, მუდმივმა შეუძლებლობამ
წიგნის გარეშე ცხოვრებისამ აღზარდეს იგი პროტესტანტად.
იგი ყოველწამს განიცდიდა ერთნაირ მარტობას. ქვეყანას
ყოველთვის გრძნობდა ისეთად, რომელთანაც შერიგება არ შეი-
ძლება. ზაქარია ჭიჭინაზე შემდეგ ერთ წიგნთსაცავში იწყებს
სამსახურს, ერთად ერთი მიზანია: რაც შეიძლება ბევრ წიგ-
ნებთან იყოს ახლოს. მაინც მისი მოხერიალე ბუნება დიდხანს
ვერ იცდის აქ: იგი მიყვება კახეთში ერთს ტყის მცველს,
ვუჩინოვს, თან მიაქვს დიდხალი წიგნები. კახეთი მასზე დიდ
შთაბეჭდილება ახდენს. იგი აქ 6-7 თვის განმავლობაში
რჩება. დაბრუნებისას იგი სამსახურში დგება საცენზურო კო-
მიტეტში: აქ მას კიდევ წიგნებთან აქვს საქმე — მრავალ აკრძა-
ლულ წიგნებთან.

ზაქარია ჭიჭინაძემ მწერლობა დაიწყო 1872 წელს; იგი სწერდა გაზეთ „დროებაში“; (წიგნების გამოცემა დაიწყო 1875 წელს) „დროება“-ში პირველად ათავსებდა პატარა წერილებს. მისი ფსევდონიმი იყო მთაწმინდელი, რადგან მთაწმინდაში ბინადრობდა.

სერგეი მესხმა, ქართული უურნალისტების ერთში მამათ-მთავართაგანმა, როგორც ვთქვით, პირველმა იგრძნო ზაქარია ჭიჭინაძის არაჩვეულებრივი მომავალი. იგი ყოველნაირა აქეზებდა და ახალისებდა მას. შევთხვევების დროს იყო მისი ერთგული დამკველი. სწორედ ამიტომ ზაქარია ჭიჭინაძე თავის მასწავლებელს უწოდებს სერგეი მესხს. „ჩემის თვალების გახელის დროს, სწერს ზაქარია ჭიჭინაძე—მე ვიყავი ძლიერ დალონებული და გულიც დარდით მქონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არ გვქინდა. ვიყავით დაზუქსულები. ქართული ენა იდევნებოდა. წიგნების გამრავლება და გამოცემა—ლა მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მაღამოდ და ამიტომ დღე და ღამ მარტო იმ იმედით ვსულდგმულობით“¹. ჩვენ ვიცით, ახალგაზრდობიდანვე ის დიდი მოყვარული იყო ქართული წიგნების კითხვის. მას განსაკუთრებით უყვარდა ძველი წიგნების კითხვა. ჩაუვარდებოდა ხელში ომშელიმე ხელნაწერი—in folio 45X32,5 სანტიმეტრიანი წიგნი, დაწერილი მშენიერ ალექსანდრიულ ქაღალდზე, რგვალი, ლამაზი მხედრულით, ყველა სათაურები და პირველი ორი სიტყვა ნაწერია კინოვარით; მაგარი ფიცრის ყდა, შავი ტყავი ოქროს წარწერებით. პაგინაცია ნაჩვენებია თვითეულ ფურცელზე სარვეულზე მხედრული ანბანით. რვეული 30-ია, ფურცელი 225. ან მეტი, ათვალიერებთ ქაღალდის ფილიგრანს, იცით რომ

წიგნი გადაწერილია გივი თუმიშვილის მიერ მეფე არჩილის ბრძანებით საღმე მოსკოვში ან სხვაგან. აქა-იქ შეხვდებით ტაეპებს ამის მსგავსს: „საღვთო წიგნი ბევრი წახდა, უყდოთა და უბუდობით. საშაიროს ინახველეთ სტავრის ბუდით“ და სხვა. ხელნაწერების კითხვა, თორემ ზაქარიას ბევრს არას შველოდა მაშინდელი დაბეჭდილი წიგნები. იყო ერთად-ერთი „ცისკარი“ და ეს უურნალი მას საკითხავად არ ყოფნილა, იგი აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებს, რაც მაშინ კვირაობით გამოქონდათ შუა ბაზარში გასასყიდათ. 1875 წლიდან მოყოლებული 1878 წლამდე მან შეკრიბა 500 მეტი ხელნაწერი, აგრეთვე რამდენიმე პერგამენტზე ნაწერი წიგნებიც. ეს პერგამენტები ძველებურად დახვეული იყო. ჯოხზე და ინახებოდა ტყავის ბუდეში. ჩვენი წინაპრები უხვად სარგებლობდენ პერგამენტებით, სანამდე საქართველომდისაც არ მოაღწია — თანამედროვე ქალალდმა. რამდენი საუკეთესო კალიგრაფები და მინიატურისტები ცხოვრებდენ ჩვენს სასახლეებში, და ამზადებდენ წიგნებს. საღაა ეხლა ეს უძვირფასესი განძი? ბევრი მათგანი მისცეს ცეცხლს, უფრო ბევრი გაანადგურა მათმა ულმობელმა მტერმა და ძლიერ ცოტა გადარჩა ჩვენი მომავალი ბიბლიოფილებისათვის. როდესაც ზაქარია ჭიჭინაძე კრებდა ამ წიგნებს, გაზეთ „დროებაში“ აცხადებდა მათი აღმოჩენის ამბავს.

კარგი იქნებოდა ყველა ხელნაწერების დაბეჭდვა და წიგნებად გამოცემა — თუმცა ნაკლები იმედი იყო მათი გავრცელების; რადგან არსად მაშინ ქართული წიგნის მაღაზია არ მოიპოვდოდა. იმ სამს წიგნის მაღაზიაში, რომელიც მაშინ ტფილის ში არსებობდა, უმეტესად რუსული და სომხური წიგნები იყიდებოდა. მთავარ-მართებლის სტამბის რამდენიმე მუშამ გახსნა წიგნის მაღაზია, მაგრამ მაღა დაიხურა იმის გამო რომ იქ ხშირად დაიარებოდენ სემინარიელები, რომელთაც ეპვეს თვალით უყურებდენ მაშინდელი „წესრიგის“ დამცველები. ზაქარია ჭიჭინაძემ გახსნა წიგნის მაღაზია ქაშუეთის.

ეკლესიის შენობაში; მის მიზანს შეადგენდა წიგნების ფარ-
თოდ გავრცელება. კვირა დღეობით იგი წიგნებით სავსე
მაგიდას შუა-ბაზარში გადაიტანს ხოლმე. ორგვლივ ხშაუ-
რობაა, მაგრამ არაჩეულებრივი მოძრაობა იმ მაგიდასთან,
რომელზედაც გაფენილია ქართული წიგნები, ხალხი აუარე-
ბელი ეხვევა გარს.

ზაქარია ჭიჭინაძემ შეიძინა დიდალი რუსული წიგნები-
ცა და უურნალ-გაზეთები. „სოვრემენნიკი“, მაგალითად, მე-
ტრად ძნელი საშვარი იყო იმ დროს. ოდესმე პუშკინისა და
პლეტნევის მიერ დაარსებული უურნალი, შემდეგში პანაკეის
და პოეტის ნეკრასოვის ხელში ჰყოველთვის ახერხებდა გარს
შემოეკრიბა საუკეთესო ლიტერატურული ძალები. ეს უუ-
რნალი გადაიჭირა რუსული უურნალისტიკის პირველ ორგა-
ნოდ, ხშირად იღებდა მთავრობისაგან გაფრთხილებას, ხში-
რადაც ხურავდება მას. ქართველ ახალგაზრდობას⁵ მეტად აინ-
ტერესებდა ეს უურნალი და მისი შოვნა შეიძლებოდა მხო-
ლოდ ზაქარია ჭიჭინაძესთან, რომელიც თვითონაც თავიდანვე
დაინტერესებული იყო უახლოესი დროის საკითხებით. წინად
ზაქარია ჭიჭინაძე სამკითხველოში მსხახურობის დროს ხარბად
ეწაფებოდა სოციალური შინაარსის წიგნებს. ეს წიგნთსაცავი
იყო ერთად-ერთი მდიდარი მთელ ტფილისში. მის ერთ-ოთახში
ცხოვრობდა ნიკო ნიკოლაძე, იქვე თავს იყრიდა მაელი ტფი-
ლისის ინტელიგენცია. ზაქარია ჭიჭინაძე გრძნობდა რაღაც
ახალს, სულ სხვანაირი ქარის ქროლის. შემდეგ როდესაც კავ-
კასიის საცენზურო კომიტეტში მსახურებდა, მან შეამჩნია რომ
ერთ ოდაბაზი შეკრებილი ჰქონდათ უკეთესი ის წიგნები, რო-
მელთაც ცენზურა იჭერდა 1850 წლიდან მოყოლებული: მთე-
ლი ოთახი სავსე იყო რუსულთისა და უკრაინოს აკრძალული წი-
გნებით. უკეთესი ეს წიგნები ზაქარია ჭიჭინაძის ხელში იყო
და ბევრს თავისთვისაც შეიძენდა ხოლმე. ამგვარად მის შკო-
ლად უნდა ჩაითვალოს მდიდარი წიგნთსაცავი და საცენზუ-
რო კომიტეტი. ზაქარიამ კარგად გაიცნო რუსეთის მე-60.

წლების მწერლები, ვათი წიგნები გაუყრელი მეგობრები იყვენ მისი. გერცენის „კოლოკოლი“ ც მის ხელთ იყო. ოევოლიუ ციონერი გერცენი, რომელიც 1848 წელს მონაწილეობას იღებდა პარიზის ოევოლიტურიაში, რომელიც მეგობარი იყო გარიბალდის, პრუდონთან ერთად სუემდა Ami du peuple ს, საზღვარგარეთიდან რუსეთში გზავნიდა იმ დაუვიწყარ ფურცლებს, რომელსაც „კოლოკოლი“ ეწოდებოდა. ლონდონში მან საგანგებოდ დაარსა სტამბა რუსეთში აკრძალული წიგნების საბეჭდავად. შემდეგ უცნევაში გამოდიოდა უკანასკნელი ფურცლები „კოლოკოლისა“ და ი ამ აკრძალულ წაგნებს და გაზეთებს ფარულად ინახავდა ზაქარია ჭიჭინაძე. ოევოლიუციონური გაზეთი იმავე გერცენის „პოდ. სულ.“ მისივე უცნალო „პოლიარნაია ზეგზდა“. ბერლინის რუსული გაზეთის „ვპერიოდის“ მთელი კოლექციები 1875 და 76 წლების, გაზეთი „ნაროდნაია ვოლია“ „ზემლია ი ვოლია“ ყოველივე ამას ნახავდით მის სახლში მთაწმინდაზე, რომელსაც ყოველ დღე აწყდებოდა ტფილისის სემინარიის შეგირდები, მიჰენდათ წიგნები ან მთელ ღამეებს ათენებდენ იქავე, მთაწმინდაზე. ზაქარია ჭიჭინაძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როდესაც ხედავდა აზ ეგზალტაციით სავსე, წიგნების წყურვილით გაგიუებულ ახალგაზრდობას. ახალგაზრდობა ეწაფებოდა იმ დროს იმ წიგნებს, რომელათც უერსად სხვაგან ვერ იშოვიდა. აქ იყო პისარევი, რომელიც ლიტერატურაში პირველ ჩიგში აყენებდა პუბლიცისტურ ელემენტს და რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების კრიტიკას; პისარევი უარყოფდა ფავისთავად მნიშვნელობას მხატვრული ლიტერატურისას, ქადაგებდა ჭეშმარიტ რეალიზმს და უტილიტარულ მორალს. მისი წერილები „ეს-ტეტიკის დარღვევა“, „ბაზარივი“ „პუშკინი“ დიდ გამოძახილს პოულობდა მაშინ. და მისი გავლენა რუსეთის სამოციან და სამოცდაათიან წლებში მეტად ნათელი იყო. აქვე იყო ბელინსკი, რომელიც პირველ ხანებში ამბობდა, რომ

რუსეთის ლიტერატურა არ არსებობს, რომ ახალმა თაობამ უნდა შექმნას. ნამდვილი ლიტერატურა. მასწავლებელი და ხელმძღვანელი რუსების ორმოციანი წლების მწერლების, იგი საქართველოშიც იმავე „შფოთიანი ბესარიონის“ სახელით იყო ცნობილი*) მისი ძიებინი და უმაღლესი გაგება ლიტერატურის როლისა ურყევი კანონი იყო ქართველი ახალგაზრდობისათვისაც. ჩერნშევსკისაც უდიდესი გაულენა ჰქონდა ახალგაზრდობაზე განსაკუთრებით მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ახალგაზრდობა ამნაირადვე ეწაფებოდა ცნობილი დობროლიუბოვის ნაწერებს, რომელიც ისეთივე ლიტერატურული მეთოდით ხელმძღვანელობდა; და კრიტიკულ წერილებში იძლეოდა აგრეთვე ბრწყინვალე ანალიზს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობისა და ჩამორჩენის შესახებ: იყო მიხაილოვსკი, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში კრიტიკის უპირველეს წარმომადგელად ითვლებოდა. ყველა ამ ახალი იდეების გაღმოტანას საქართველოში სხვებთან ერთად ხელი შეუწყო ზაქარია ჭიჭინაძემ. ამნაირივე მიმართულებით ხასიათლება მისი წიგნები, რომელიც მან გამოსცა 1867 წელს, ზაქარია ჭიჭინაძე მაშინ სოციალისტი იყო. და ამას უქადაგებდა ახალგაზრდობას, ასეთი შინაარსის წიგნებს ავტორებიდა მათში. მისი უმთავრესი ღმერთი იყო პრუდონი, რომელშიაც საფრანგეთის სოციალისტურმა მოძრაობამ 30-40 — ან წლებში იპოვა ყველაზე უფრო გამბედავი მოაზროვნე; ამ უდიდესი ხამართლიანობის მქადაგებელ და უფრო დიდიკუონომისტის დროშის ქვეშ მი-

*) იყო გამონაკლისიც ჩვენ ხელთა ჯვაჭვს უურნალის „კისარის“ 1863 წლ. კომპლექტი. აქ საინტერესოა აღვრლი მისი რეაგირორის წერილიდან: „ბელინსკის მიბაძვა და ბელინსკობა ჩვენში ამ გამოდგება, თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკისი იყო რუსეთში, მაგრამ როგორც ზაფრიანი კაცი ყოველთვის ილანძლებოდა და ამ მიზეზით მისი მიბაძვა არის მოსაწონი, და თვით რუსეთში ვიღა ჰყავს ებლა ბელინსკის მიმბაძვი?“

დოოდა ქართულ ლიტერატურაში მაშინ ზაქარია ჭიჭინაძე. მისი დანარჩენი სიამაყები იყვენ: ლეონ-სტიუარტ-მილლი, ჰერბერტ სპენსნერი, ჩარლზ დარვინი, ბოკლი, რომელსაც სურდა შეექმნა ისტორია ამ სიტყვის სრული შნიშვნელობით; ლუი ბლანი, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოი, ფიკტორ ჰიუგო, კონტი. მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძეს მოქმედოდა ბებელის ნაწერები, ლასალის 1 და 2 ტომი, მარქსის „კაპიტალი“, ტოკვილის „ამერიკის დემოკრატია“, ლრეპერის ისტორიები; ზაქარიას წიგნთსაცავში წიგნების რიცხვი იყო ძალიან დიდი. ყველა ეს წიგნები წასაკითხათ მიჰქონდათ მისგან ტფილისის სემინარიის შეგირდებს. კანიკულების დროსაც წაიღებდენ წიგნებს. სოფლებში და მეტე შემოდგომაზე ჩამოჰქონდათ. შემოდგომისას, ვიდრე თავიანთ ბინებზე მოეწყობოდენ, ისინი ყველა ერთად ცხოვრობდენ ზაქარია ჭიჭინაძის სახლში, რჩებოდენ აქ თვეობით და ყოველი გაჭირვების დროსაც სემინარიელებისათვის ეს სახლი იყო სტუმართოყვარე და თავშესაფარი. ზაქარია ჭიჭინაძე ახალგაზრდობაში გატაცებით ავტორებდა ევროპიდან გადმოღებულ იდეებს. ამასთანავე უნდა ითქვას: ერთი წამითაც არ დავიწყებია მას საქართველო, იყო ყოველთვის უაღრესად დიდი პატრიოტი და მგლოვიარე: რად არისო საქართველო ასე დაცემული! სწორედ იმ ხანებში ბეჭდავდა იგი ქართულ სახალხო ლექსებს, სახალხო წიგნებს და ცდილობდა მათ გავრცელებას ხალხში. ბეჭრი მტერი გაიჩინა მაშინ ზაქარიამ. მაგრამ ახალგაზრდობაში არ შენელებულა მისადმი სიყვარული: თვით ზაქარიას სახლი გადაიქცა რევოლუციონერების ბინად. ასობით და ორასობით ჩამოითვლება პირები. რომლებიც ამ სახლში თავს ითარავდენ. ესენი იყვნენ მთავრობისაგან დევნილი სოციალისტები და ისეთი მებრძოლები, როგორიც ვარლამ ჩერქეზიშვილია და სხვა ჩვენი ცნობილი მოღვაწენი.

მაგრამ ზაქარია ჭიჭინაძეს თვალშინ აღგა ჩვენი ქვეყნის
მწუხარე მდგომარეობა. ნახევარი საქართველო ეჭირა ოსმა-
ლეთს, მცხოვრებლები გამაპმანდიადნენ, და მშობლიური ენა
დავიწყებას მიეკა. კონსტანტინოპოლიდან გადმოგზავნილი
მოლები ავრცელებდენ. ისლამის სარწმუნოებას ბათუმის ქარ-
თველთა შორის, აჭარაში და ქობულეთში. 1587 წლიდან ახალ-
ციხე, სატახტო ქალაქი სამცხე-საათაბაგოსი, დამორჩილდა
ოსმალეთს. ოსმალნი გამუდმებით ესხმოდნ საქართველოს
განაპირა კუთხეებს, სამცხე-საათაბეგოს, შავი ზღვის აღმო-
სავლეთ ნაპირს, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს. შინაც
საქართველოში მოხდა დიდი უბედურება: მეფე ალექსანდრემ
დაანაწილა საქართველო. დაიწყო განუწყვეტელი ქიშინაბა და
ჯიბრი, როგორც მეფეებს ისე ერისთავებს შორის. სამცხო-
საათაბაგო კი ამ დროს მუდმივი ბრძოლის ასპარეზად
იყო გადაქცეული: აქ სპარსელებს სურდათ ოსმალეთის
გავლენის მოსპობა. მთელი ეს ხანა დაუსრულებრიაგედია
არის საქართველოს ცხოვრების. ოსმალეთს დაპყრო-
ბილი ჰყავდა ნახევარი საქართველო. 1878 წლამდე. ამ წელს
კი ბერლინის შეთანხმების ძალით ოსმალეთს ჩამოერთვა და
გადაეცა რუსეთს ორი მესამედი სამაპმადიანო საქართველოსი:
ფოცხოი, არდაგანი, კოლა, არტანუჯი, ჩილდირი, ოლთისი,
პროვინი, პანაჩა, ნარიმანი, მაჭახელი, იმერხევი, ზედა
აჭირა, ქვეშო აჭარა, ბათუმი, ჩაქვა, ქობულეთი და სხვ.
მაგრამ მეორე ნაწილი სამაპმადიანო საქართველოს და ლა-
ზისტანი ისევ ოსმალეთს დარჩა: ბასიანი, სპერა, კისკიცი და
სხვ. როგორც. წინედ ისე იმ ხანებშიაც მთელი მოწინავე
ქართველი საზოგადოების ყურადღება მიქცეული იყო სა-
მაპმადიანო საქართველოსაკენ: ურთის მხრით თვითონ ისმა-

ლეთისათვის სამაჰმადიანო საქართველო იყო უცნობი მხარე —terra incognita — მეორე მხრით არც ცენტრალურ საქართველოს ჰქონდა საშუალება მიშველებოდა მას. მაგრამ როგორც კი ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოსი ასმალებს ჩამოშორდა, მთელი ურადღება მოწინავე ქართველებისა მას მიექცა. განახლდა მისვლა-მოსვლა როგორც ტფილისიდან სამაჰმადიანო საქართველოში, ისე სამაჰმადიანო საქართველოდან ტფილისში. ხშირად მიდიოდენ დიდიხნის ერთმანეთს უნახავი ძმები. აი, მაგალითად: 1887 წელს ტფილისში ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა მაჰმადიანი: რეჯებ ნიუარაძე და ისმაილ ალა-კაიკაციშვილი. ესენი ჯერ კიდევ მოწაფეები იყვენ. მათ გაიცვნეს ზაქარია ჭიჭინაძე. ახალგაზრდები აელვარებული თვალებრთ ისმენდენ ზაქარია ჭიჭინაძის საუბარს სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. მათ პირველად ესმოდათ, რომ სამაჰმადიანო საქართველო უუძველესი ნაწილია საქართვილოსი. რომ აქ ესევ დარჩენილია ქართული ენა ჯა აღგილო სახელებით: თორნეთი, ორგუბე, დედამთა, ჭილობისმთა. როდესაც ზაქარია ჭიჭინაძემ განიზრხა სამაჰმადიანო საქართველოში წასვლა, ესენი სულით და გულით თანაუგრძნობდენ ამ განზრახვას. ზაქარია ჭიჭინაძე მათი დახმარებით გაემგზავრა ქობულეთში 1889 წელს. მან წაილო დიდმალი წიგნები, რომელთაც უფასოდ არიგებდა ქართველ მაჰმადინებში, და თავდადებით შეუდგა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების შესწავლას აღგილობრივად. 1890 წელს ზაქარია მიემგზავრება ჭირაში დატვირთული ქართული წიგნებით: მეორედ ეწვია აჭარას 1891 წელს ისევ დიდმალი წიგნებით. ამის შემდეგ იგი მუდმივად შოგზაურობდა სამაჰმადიანო საქართველოში. ათი წლის განმავლობაში — წიგნებით — ქართული წიგნებით. თავიდანვე, სამაჰმადიანო საქართველოს ასმალეთონან ჩამოშორებისათანავე, შეიძლება კიდევ უფრო ადრე, ზაქარია ჭიჭინაძემ იგრძნო თუ რისოვის უნდრ მიექცია ურადღება. ასმალური გავლენის საწინამდევროთ იგი ბეჭდავდა წიგნებს

ქართულ ენაზე, სარელიგიო შინაარსისას, ისტორიულ წერი-
ლებს, სახალხო ლექსებს, ვეფხის-ტყაოსანს — განსაკუთრებით
სამაპადიანო საქართველოსათვის. რუსთაველის უკვდავი პოემა
აქ ისევ სცოცხლობდა ზეპირგადმოცემებით, ან დაზებით —
მთელს ზაფხულებს ატარებდა ზაქარია იქაურსოფლებში, მოგ-
ზაურობდა, ჰკრებდა მათ ზეპირ გადმოცემებს. შეისწავლა ზეპი-
რად მათი ლოცვები და მათ ჯამეშიაც დაღირდა და ლოცვლობდა
ისე კარგთ, რომ შემდეგში კიდევც დაბეჭდა მათი ლოცვის წიგნი.
ქართული ასოებით და არაბული სიტყვებით. მან ძლიერ კარგად
იცოდა თუ რა ნიადაგზედ ხდებოდა წინაც სამაპმადიანო სა-
ქართველოს მკვიდრთა მასიური გადასახლება ოსმალეთში. ისინი
სტოვებდენ სამშობლოს, სახლ კარს, წინაპრების საფლავებს
და მიემგზავრებოდენ ოსმალეთისკენ სარწმუნოებრივი ფანა-
ტიზმის გავლენით. მათდამი ყოველთვის ფრთხილად მოკყრობა
იყო საქირო და ზაქარია სწორედ ასე იქცეოდა. სამაპმადიანო
საქართველოში თავიანთ კაცად მიაჩნდათ ეს მოხეტიალე
ენტუზიასტი. იგი შეუყვარდათ; მასთან ასობით გზავ-
ნიდენ ბავშვებს და მრავალმა ბავშმა შეისწავლა მის-
გან წერა-კითხვა. ზაქარია ჭიჭინაძემ დაბეჭდა შემდეგი წიგ-
ნები: I. ისტორია ყოფილი ოსმალეთის საქართველოში.
II. ქართველების გამაპმადიანება ანუ გათაორება. III. ქარ-
თველი მაპმადიანების დიდი გადასახლება — ანუ მუანლირე
შიგრაცია. IV. ქათველ მაპმადიანთა ცხოვრება (ერთად აკინ-
ძული 15 წერილი). V. ქართველ მაპმადიანთა სოფლები და
ხაუხი. VI. ალიფაშა თავდგირიძე და მისი გვარის ამბავი.
VII. ქართველ მაპმადიანთა სახალხო ლექსები (მის მიერ შე-
კრებილი). VIII. პუსეინ ჭამაზის ლექსები (მის მიერ შეკრე-
ბილი). და სხვ. ქართველ მაპმადსანთა შესახებ. ზაქარია
ჭიჭინაძე მრავალ წერილებს ბეჭდავდა გაზ „ღროება“-ში, „ივე-
რია ში“ და სხვ. მარტო ბათუმის ქართულ გაზეთში დაი-
ბეჭდა მისი ასი ფელეტონი ოჩა წლის განმავლობაში — ქარ-
თველ მაპმადიანების შესახებ და „მეორე ასი ფელეტონი სხვა“

და სხვა ისტორიული წერილებისა. ასეთმა განუწყვეტელშა მუშაობაშ ნაყოფი გამოიღო. და ზაქარია ჭიჭინაძეს აუსტრულდა ნატვრა: იქ მკვიდრი საფუძველი ჩაიყარა ქართულმა წიგნმა. განმდა წიგნის კითხვის დაუშრეტელი წყურვილი. ზაქარია ჭიჭინაძე მოესწრო იმასაც რომ ქართველ მაჰმადიანებში გაჩნდენ ისეთებიც, რომლებიც თავის თავს ქართველ მაჰმადიანებს უწოდებენ და არა თათრებს. ასეთ პირთა რიცხვი თანდათან იზრდება და საქართველოს ყოველმხრივ უბრუნდება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მშობლიურ კურას მოწყვეტილი — სამაჰმადიანო საქართველო.

დაღიოდა ზაქარია ჭიჭინაძე ქობულეთში, ისმენ და მოხუციან აშჩებს, ამის მსგავს: — მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, როცა სოლომონ მეფე სტამბოლს გეხსლათ ხონთქართან, ტრაპეზუნდადის ჩვენ გავაცილეთ; იმერეთში რუსების მოსვლაც კარგათ მახსოვს. ჩენი გათათრების შემდეგ ასი წელი იქნება გასული; მე პატარა ვიყავი, როცა ქობულეთში თათრობა შემოვიდა, პირველად ბევრი ვიმაგრეთ; მე ჩემთა ბებიამ გურიაში გამაჭცია და გურიელის სახლში დამტოვა; რომ არ გავეთათრებინეთ, მაგრამ ბოლოს მაინც არ ამცდა, შემდეგ ოსმალებმა მოლები გამოგვიგზავნეს და გაგვათათრეს. ქალით. მე კარგად მახსოვს, რომ როდესაც მოლებმა აქ პირველად დაიწყეს მინარეთიდან ლოცვების თქმა, ჩვენ, ქრისტიანებს ძლიერ გვეჯავრებოდა და ამიტომ ქვებსა და ტალასა ვესრო დითო. ნელნელა ისე მოგვიხერხეს, რომ აქედან ხუცები გარეკეს ეკლესიები დაკუტეს და ჩვენც გათათრება. გამოგვიცხადეს. რამდენიმე წლის განმავლობაში მოლად გათათრდა ოსმალეთის სამფლობელო ქობულეთი. ჩვენ — იმერეთიდან ვაჭრ ძევლად აქეც გადოსული, ჩვენი მეგვარები. ქუთაისის ახლო უნდა ცხოვრობდენ. მე მოვესწარ კარგად სელიმ ფაშა ხიშ შიაშვილს, მის მამას აბდულბეგს, ახმედ ფაშა ხიშშიაშვილს და მრავალთაც სხვებს. — დააინტერესებდა ზაქარიას რომელიმე ისტორიული პიროვნება სამაჰმადიანო საქართველოს წარსუ-

ლიდან. იგი სწერს: „ჩემი მგზავრობის დროს ათი წლის
განმავლობაში, სადაც კი მოხუცებულ ხოჯას ვნახავდი,
ყველას იმას ვეკითხებოდი: იყო თუ არა იმათი მიღეთის ვინ-
მე შეიხ-ულ-ისლამი? ბოლოს მეღირსა ზოგი რამ ცნობების
შეკრება და სხვ. ან და ასეთი დიალოგი თურქულად მგზავრ-
თან: რა ტომის კაცი ხარ? — გურჯი. შენი მამა პაპა რა ტომისა
იყვნენ? — გურჯი. (ქართველი). მაშ რატომ ქართული თქვენი
ენა კი არ იცით? — მოსაუბრე გაჩერებულა და გაშტერებით
უთქვაშ — არ ვიცი. „ასეთ დაკარგულ ქართველთათვის —
სწერდა შემდეგ თავის უბის წიგნში ზაქარია ჭიჭინაძე —
ვგრძნობ თუ როგორ სანატრელია ქართული ენის ცოდნა — ეს
იქნება დიდი საჭმე. მათ ჯერაც არ აქვთ დავიწყებული ის
გადმოცემა რომ მათი სამშობლო საქართველოა, იგინიც ქარ-
თველთა შოამამავალნი არიან. და მათი დედაენაც ქართული
ენა არის“ ან კიუჟ ასეთი ადგილი: „შარშან აჭარაში შე გამეცნო
ჰასან-ეფენდი ციციშვილი, მას ჩემი გუცნობა ესიამოვნა მით
უფრო, რომ გაეგო, ქართული წიგნები მქონდა თანა. ბათუ-
მილან ქედამდის წამომყვა და გზაში ბევრი რამ საინტერესო
ამბები მიამბო ქართველ მაჭმადიანთა შესახებ. წიგნების გავ-
რცელებაში დიდი დახმარება აღმომიჩნა მან.. სულ იმას ნა-
ტრობდა — ეგებიჩენს დაცემულ მხარესაც ეშველოს რამე — სწავ-
ლა-განათლება შემოვიდესო. ჩევნთა მოძმეთ — ქართველების
იმედი გვაქვს, თორემ სხვა ვინ რას გვიშველის? ჰასან ეფენდის
ძლიერ ეწყინებოდა ხოლო რომ ეთქვათ: „შენ თათარი ხარ.“
მე თათარი რაში ვიქნები, სჯულით მაჭმადიანი ვარ და ტომით
ქართველი“. აჭარიდან ტფილისში გამუდმებით იწერებოდა წე-
რილებს. ეს ციციშვილი, მოითხოვდა წიგნებს, ივედრებოდა:
წელსაც ამოდით და ამოიტაენთ. წიგნებიო, ბევრმა ისწავლა
წერა-კითხვა, უფრო ბევრი ისწავლის თუ ხელს შეგვიწყობთო.
ერთხელ ტეილისში ჩამოვიდა, ან ტონ ფურცელაძემ სადილად
მიიწვია. ჰასან ციციშვილი ლაპარაკობდა დარბაისლურად: რაკი
აქამდე მოვალწიეთ და დედაენა არ დავკარგეთ, ეხლა ნურაფრის

შიმინუგაქვთ, ეხლა ადვილად შევერტდებით სულით და გულო-
თაო. ჰასანს ძალიან ენატრებოდა აქაური ციციშვილების გაც-
ნობა“. ამნაირად ეყრებოდა მტკიცე საძირკველი სამაჰმადიანო
საქართველოსთან დაახლოებას და ამ დახლოების უპირველე-
სი მქადაგებელი იყო ზაქარია ჭიჭინაძე. მისი მაგალითი ამხ-
ნევებდა ყველას, ვისაც კი გული შესტკიოდა საქართველოსა-
თვის და ზაქარია ჭიჭინაძე ნახულობდა „ერთგულ
თანამოაზრებს: ისტორიკოსმა ღიმიტრი ბაქჩაძემ — ორჯერ
იმოგზაურა ქართველ მაჰმადიანებში. პეტროგრადის სამეცნიე-
რო აკადემიამ დამეჭდა მისი წიგნი „არქეოლოგიური მოგზა-
ურობა გურიასა და აჭარაში“. მეტად საინტერესოა ცნობები
მათ შესახებ რომელნიც ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად თავდა-
დებით მუშაობდენ ამ სფეროში. გიორგი ნიკოლოზისძე ყაზბეგიც
მთავრობის მინდობილობით მოგზაურობდა სამაჰმადიანო საქარა-
თველოში მაშინ, როცა იგი ოსმალებს ეჭირათ. მან დასწერა
წიგნი „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“ და ვრცელი მი-
მოხილვა „ლაზისტანის სანჯაკი“. ნიკო ნიკოლაძე 1883 წელს
„კრებულში“ ეხება სამაჰმადიანო საქართველოს ლაზისტანი-
თურთ; სერგეი მესხი ომიანობის დროს მოგზაურობდა იქ. იონა
მეუნარგია სამისიონერო სახოგალოების დავალებით და თელო
სახოკია თავისი სურვილით მოგზაურობდენ სამაჰმადიანო საქარ-
თველოში. ილია ჭავჭავაძე ენერგიულ წერილებს ათავსებდა
ივერიაში; გიორგი წერეთელი „დროებაში“, აკაკი წერეთელი
თავის კრებულში. ნიკო ცხველაძე გულმხურვალედ ადგვ-
ნებს თვალყურს ქართველ მაჰმადიანთა სწილა-განათლების
საქმეებს. იაკობ გოგებაშვილი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მარრი,
ალექსანდრე ყიფშიძე — გაზეთებში დაუდალავად სწერენ სამაჰ-
მადიანო საქართველოს შესახებ, ილია ფერაძე, სამსონ ფირც-
ხალავა, ვალერიან გუნია ხელს უწყობენ ასეთ დაახლოებას.
მეორე მხრითაც გაჩაღებულია მუშაობა: აბდულ-ეფენდი მიქელა-
ძე, გულო — ააა — ვაიკაციშვილი, მემედბეგ აბაშიძე, ჰაიდარ-ბეგ
და ზიაბეგ აბაშიძე და სხვ. ხოლო ყველაზე მეტი წიგნები ისევ

ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის: — ქობულეთის ხეობის ქართველ ჭაჭ-
მაღიანების შესახებ; ქობულეთისა და ჩაქვის ხეობის ხოჯებისა
და მოლების შესახებ, ქობულეთისა და ბათუმის ქართველი
შკოლების შესახებ, ბათუმის ქართული მწიგნობრობის შესახებ,
ქართველ მაჭადიანთა მელექსეების შესახებ, აჭარის სოფლე-
ბის შესახებ, სამცხე საათაბაგოს დაპყრობის ზეპირი ამბები;
აჭარის ამბები 1892 წ. აჭარის განახლება; ლივანის ქართველ
მაჭადიანთა სოფლები, ლივანა-მარადიდის შკოლების ამბები;
ქართველ მაჭადიანთა უმაღლეს სასულიერო შკოლის გახსნის
საჭიროების შესახებ, ლივანის ხევის მოლებისა და გოჯების
შესახებ, მაჭახელის სოფლები, მუნიციპალის ხეობა, მესხეთის
ქართულ მაჭადიანები, ჯავახეთის ქართველი მაჭადიანები,
ქართული ენის დაკარგვა კობლიანში, ქართული ენის დაკარ-
გვა ჩილდირში, ქართული ენის დაკარგვა ფოცხოვში, ქართვე-
ლი მაჭადიანების გადაგვარება, ოლთისი ანუ ზემო ქართლი,
ლაზისტან-ჭანეთი, შავშეთის ქართველი მაჭადიანები, იმერ-
ხევის ქართველ მაჭადიანთა სოფლები, კლარჯეთის ქართველი
მაჭადიანები, ქართული ენის და საქართველოს მოყვარე ხოჯები;
დოცვები არაბულ ენაზე და მრავალი სხვა.

ერთხელ მცხეთაში მიწის თხრის დროს შემთხვევით იპოვეს
ლოდი, რომელზედაც აღმოჩნდა დატა 75 წლის და წარწე-
ნა იმპერატორის ვესპასიანესი. ეს ლოდი გხლა ინახება ტფი-
ლისის მუზეუმში და ნათლად აჩვენებს რომის იმპერიის მხრუ-
ნველობას და ერთნაირ დამოკიდებულების არსებობას საქარ-
თველოსთან. ეს დამოკიდებულება არ შეწყვეტილა შემდგაც:
საქართველოს მეფეებს პეტრები და ოკიდებულება რომთან.
თამარისა და რუსულანის ხანაში რომის პაპები სწერდენ სა-
პასუხო ბულებს: პაპა გონირი 1227 წ. პაპა გრიგორი IX
1241 წ. ნიკოლოზ IV—1272 წ. იოანე XII—1332 წ.
პაპა იოანემ 1339 წელს გამოგზავნა ტფილისში ეპისკოპოზი
და პატრები მაშინდელ ქართველ კათოლიკეთათვის. 1626
წელს საქართველოში იყვნენ პატრები დამინიკანელების ორ-
დენისა და შემდეგ, 1661 წლიდან—1845 წლამდე, კაპუცინე-
ბი. საინტერესოა შარდენის მოგზაურობის წიგნიდან ის აღვი-
ლები, სადაც იგი საქართველოს ეხება. იგი ჩავიდა ქუთაისში,
გორში და შემდეგ ტფილისში, სადაც მიღებულ იქნა კათო-
ლიკეთა პატრების შეირ მონასტერში. იგი წარუდგა საქართვე-
ლოს მეფეს, და დაწვრილებით აღწერს მეფის სასახლეს მტკვ-
რის ნაპირად. სამეფო ლხინსა რომელზედაც მიწვეული იყვნენ
ისა და კათოლიკე პატრიარქოფეკტი. პრეფეკტი პატრი, რა-
ფაელი, იყო ისპანიის ქვეშევრლომი. პარმიდან, რაც კარგად
იცოდა მეფემაც. ლხინის დასასრულს მეფემ ჰკითხა შარდენს,
როგორ ცხოვრობს ჩემი ნათესავი ისპანიის მეფეო? და მი-
ირთვა ისპანიის მეფის სადღეგრძელო, გაოცებული შარდენის
კითხვაზე, თუ რა ნათესაობაში არის ისპანიის მეფე საქართვე-
ლოს მეფესთან, იქ მყოფებმა აუხსნეს მას, რომ პაპა კლიმენ-
ტი VIII-მ საქართველოს მეფე თეიმურაზთან გამოგზავნილ

წერილში მოიხსენია იგი ისპანიის მეფის ფილიპე II ის ნათე-
სავად, ქართველები და ესპანელები კი ძმებად, რაღაც ორი-
ვე ერი იწოდებიან იბერიელებლად, და რომ ამ ხნიდან დაწ-
უბული თეიმურაზის მემკვიდრეები ამაყობენ ამ ნათესავობითო.
კათოლიკები საქართველოში ყოველთვის პოლიტიკურ მფარ-
ველობას. მათ აქვთ თავიანთი ისტორია და მათ შესახებ აღმ-
რა ლაპარაკი გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს ზაქარია ჭი-
ჭინაძემ. — იგი ბეჭდავდა დიდხალ მასალებს ქართველ კათოლი-
კეთა ისტორიიდან, მან დაბეჭდა ბევრი წიგნი მათი
გვარების, ვინაობის და ცხოვრების შესახებ. ზაქარია ჭიჭინა-
ძის შრომაშ დამყარა მათში ეროვნული თვითშეგნება და
მოამზადა ნიადაგი იმისთვის, რომ იწოდებიან ქართველ კათოლი-
კებად და არა სომებს კათოლიკებად. საქმე ისაა, რომ ტფი-
ლისის სომხების გაზეთები ბევრს სწერდენ საქართველოში მყოფ
კათოლიკების შესახებ. ისინი ცდილობდნენ რომ ყველა ქარ-
თველი კათოლიკები გამოეცხადებინათ სომებს კათოლიკე-
ბად, მხოლოდ იმიტომ რომ ზოგიერთი მათგანი სალოცავად მი-
დიოდა სომხურ ეკლესიებში. თვით ქართველ კათოლიკებს არც
ტფილისში, არც გორში; არც ქუთაისში, არც სამაჭალიანო
საქართველოში არ შეეძლოთ უარეყოთ ეს ცნობები, რაღანაც
არ იცოდენ სომხური ენა, არ კითხულობდენ სომხურ გაზე-
თებს. ზაქარია ჭიჭინაძე და სხვა მისი თანამოაზრენი თავდა-
დებით იცავდენ მათ. ზაქარია ჭიჭინაძეს ეკუთვნის აგრეთვე
საუკეთესოდ დაწერილი ბიოგრაფიები ბევრი გამოჩენილი ქარ-
თველი კათოლიკისა: მიხეილ თამარაშვილის, პატრი ნიკოლასი,
ივანე გვარამაძის, პრელატი დონ-ივანე ანტონიშვილის, ლევან
ზუბალაშვილის, პავლე ჭილიმუზაშვილის, (რომელზედაც ერთ
დროს პლატონ იოსელიანიც სწერდა.)

ქართველ ისრაელთა ცხოვრებაშაც და მათმა ქართული ენის
ხმარებამაც გაიტაცა ზაქარია; მან საქართველოს ისტო-
რიაში მოსძებნა ისრაელთა შესახებ მასალები და დაბეჭდა „ის-
ტორია ქართველ ისრაელთა საქართველოში“, ამ საკითხის შე-
სახებ მას გაზეთებშიდაც აქვს წერილები. მან დაასაბუთა რომ
საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში ასე
სასტიკად იდევნებოდენ ებრაელები, საქართველოში ისინი
ცხოვრობდენ სრულიად უვნებლად და სარგებლობდენ საქარ-
თველოს მეფეთა დიდი მფარველობით. ამ წიგნის დაბეჭდვის
გამო დიდი მაღლობის წერილები მოდიოდა ზაქარიას ქარ-
თველ ისრაელთა რაბინებისაგან. დღეს ეს ისტორია ერთობ
იშვიათი საშონელია. ზაქარიამ დასწერა აგრეთვე ოსეთის
ისტორია. ამ წიგნით ზაქარიამ ოსებს ამცნო ის შრომა და
ამაგი, რაც მათდამი მიუძლვის ქართველ ერს, ქართველ სამ-
ღვდელოებას და ქართველ მეფეებს. უჩვენა უტყუარი სა-
ბუთები, რომ ოსებმა ქრისტიანობა წმ. ნინოსაგან მიიღეს,
რომ ოსთათვის იერუსალიმი იყო მცხეთა, რომ მათთა ანბანი
იყო ქართული ანბანი უძველეს დროიდან, მათი საეკლესიო
ენა იყო ქართული; ყოველივე ეს ზაქარიას დასაბუთებული
აქვს ისტორიული ცნობებით, რასაც თან ხდევს ზედმიშევნი-
თი ცოდნა ოსების ცხოვრების.

ზაქარია ჭიჭინაძეს არ გამოჩენია ის გარემოებაც, რომ სა-
ქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს ბევრი ისეთი ქართვე-
ლი, რომელნიც სხვადასხვა მიზეზების და უამთა ვითარების
წყალობით სრულიადაც თავს არ თვლიან ქართველებად. ასე-
თი მოსახლეობა გრიგორიანებისა აღმოჩნდა ქართლში, კახეთში,
მესხეთ-ჯავახეთსა და ბორჩალოს მაზრაში. ეს ამბავი პრესაში

გადაიტანა ზაქარია ჭიჭინაძემ 1890 წ. წ. სომხებს ეს დიდათ ეწყინათ. ისინი გაიძახოდენ რომ ქართველების გასომხება მო- გონილია, ხოლო სომხების გაქართველება კი ნამდვილი ამ- ბავიათ. ზაქარია ჭიჭინაძემ უპასუხა მათ. 1905 წელს გამო- ვიდა მისი წიგნი „შავშელის ფსევდონიმით „ქართველი გრი- გორიანები ანუ სომხის სჯულის ქართველები“. ამ წიგნმა შე- საფერი გავლენა მოახდინა: ქართულად მოლაპარაკე სომხებში დამკვიდრდა ცნობა მათი ნამდვილი ვინაობის შესახებ რომ ისინი ტომით ქართველები არიან, სარწმუნოებით გრიგორიან ებია. ამ ორიოდე წლის წინადაც ერთ ქართულ გაზეთში ავტო- რი „ქართველი გრიგორიანის“ ტელმოწერით შემდეგს აცხა- დებდა: ჩვენ ქართველ გრიგორიან ებს, ჩვენს ეკლესიებში ჩვენს დედაენაზე, ქართულ ენაზე გვკონდეს წირვა-ლოცვაო“.

ზაქარია ჭიჭინაძეს ლაზების შესახებაც აქვს დაწერილი მთელი ტომი ისტორიული წერილების. აჭარაში მოგზაურობის დროს იგი ლაზისტანშიაც გადავიდა და გაიცნო ზოგიერთი მათი სო- ფელი. ჩეხალის ხეობაში და შემდეგ სხვა სოფლებშიაც მან ბევრი ცნობები შეკრიბა ლაზების ყოფაცხოვრებიდან. გაზეთებში მან მოათავსა წერილები: „ლაზების ისტო- რიული ცნობები“, „ლაზების ფელები და ახლოი“ ლაზების ნათესაობის შესახებ იგი ეყრდნობოდა ისტორიკოსის ნ. გამ- რეკელის და ნიკ. მარის მოსაზრებებს. ამავე გამრეკელის და პროფ. მარის ისტორიულ გამოკვლევებს ეყრდნობოდა ზაქა- რია ჭიჭინაძე აფხაზების შესახებ, როდესაც იგი სწერდა „აფხა- ზეთის ისტორიას“. აფხაზების შესახებ ზაქარია ჭიჭინაძეს დაწერილი აქვს მთელი რიგი წერილების.

ზაქარია ჭიჭინაძეს დაწერილი აქვს აგრეთვე ლიუტერის სჯუ- ლის ქართველების ისტორია.—რეფორმაციების ისტორიითვა- ტაცებული იგი მეტად დაინტერესებული იყო, რათა გაე- გო თუ რა გავლენა ჰქონდა ქართველებზე რე- ფორმაციას: ბევრი შრომის შემდეგ მკლევარმა მიაგნო რომ თვით ლიუტერის დროსაც კი იცნობდენ საქართველოში ამ

შოძლვებას. ვრცელდებოდა იგი და პოულობდა თანამგრძნობელთა დიდ რიცხვს. ყველა ამის მეთაური ყოფილა, სამცხეს ათაბეგი მზე ჭაბუკ დიღი. ამ ათაბეგის დახვარებით შემოსულან. საქართველოში ლიუტერის სჯულის მქადაგებელი პასტორები (პასტორი იაკობი, ანდრია, ტიზენგეინის უნივერსიტეტის პროფესორი ნაევარი და სხვ.) მათ ხელს უშლიდა მხოლოდ ის გარემოება რომ ქართული ენა არ იცოდენ. ამიტომ მათი საქმე დამარცხებით გათავდა. მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ ისინი გერმანიაში დაბრუნდენ ხოლო ის ქართველები, რომელნიც მათ სჯულს აღიარებდნენ, ყველანი კათოლიკეთა სარწმუნოების ეკლესიას შეუერთდნენ. ზაქარია ჭიკინაძემ დაბეჭდა მოკლე ისტორია: „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში“.

ზაქარია ჭიკინაძეს ეკუთვნის აგრეთვე ქართული მკურნალობის ისტორია — უუძველესი ღროიდან. მასში აღნუსხულია ქართველ ექიმთა და დოსტაქართა მოქმედების ცნობები, მათი საექიმო სასწავლებლები, წამლების მომზადება, საექიმო ბალიხების ამბები. ნაწილი ამ საუცხოვო შრომისა გადათარგმნილია რუსულად, ნაწილი გამოვიდა ქართულადაც და მიიქცია ქართველი ექიმების ყურადღება. ეს არის პირველი ნაბიჯი, პირველი მასალები ქართული მკურნალობის ისტორიისა.

ქართველ ქალთა შესახებ ზაქარიას აქვს დაწერილი მეტად საინტერესო და ძვირფასი წიგნი. „ქართველ მეფეთა ღროის გლეხთა გმირი ქალები“. ამ ხელნაწერი წიგნით ისარგებლა ისტორიკოსმა დიმიტრი ჯანაშვილმა, რომელმაც თავის ისტორიაში შეიტანა სამი გმირი გლეხი ქალი: წყნეთელი მაია, წავკისელი თინა და ვალოვანელი თამარი. ამ ქალთა გარდა ამავე ხელნაწერებში ზაქარიას დახასიათებული ყავს ერთი ქალი ქართველ სამეფო ოჯახიდან, ერთი თავადთა ოჯახიდან, და ერთი აზნაურის ოჯახიდან — დანარჩენები სულ გლეხის ქალებიარიან.

ზაქარიას გამოცემული აქვს აგრეთვე ჩვენი სტამბის

ვრცელი ისტორია. თუ ვინმემ რაიმე იცის ქართული სტამბის შესახებ, ეს არის ზ. ჭიჭინაძე. ეს შესანიშნავი წიგნი თითქმის ერთად ერთი წიგნია. და სამართლიანად ითვლება ჩეენი ისტორიის საუნჯედ. აწერილი აქვს რომის ქართული სტამბის დაარსება, მონტომანის (საფრანგეთი), კონსტანტინოპოლის, ვენეციის, მოსკოვის, პეტერბურგის, კრემემეჩუკის, ტფილისის, იმერეთის და სხვა ქართული სტამბები. ზაქარია ჭიჭინაძესვე აქვს შედგენილი და გამოცემული ისტორია ქართული გაზეთისა, ისტორია ქართული ლიტერატურის, ქართული თეატრის, ქართული პოეზის და სხვ. ზაქარია ჭიჭინაძე აღსანიშნავია აგრეთვე როგორც ბიოგრაფი. როდესაც მან ქართულ მწიგნობრობას ხელი მოჰყიდა, თავიდანვე ტრიალებდა ქართველ გამოჩენილ მწერალთა და მოლვაწეთა წრეში: ასეთი იყო „ცისკარის“ რედაკტორი და მწერალი ივანე კერესელიძე და ამისი თანამშრომლები: გრიგოლ რჩეულიშვილი, ლავრენტი არდაზიანი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ანტონ ფურცელიძე და სხვ. ზაქარია ჭიჭინაძეს, როგორც ქართველ პატრიოტს უყვარდა. მწერლები, მათთან ერთად შრომაში თვლიდა თავისთავს ბედნიერად და ქართველი მწერლებიც პატივს სცემდენ ზაქარიას. მათთ დაახლოვებით გაცნობა საშუალებას აძლევდა. ზაქარიას გაეცნო ეს რჩეული პიროვნებები, გაეკო მათგან ცნობები სხვების შესახებ. მის კალამს ეკუთხნის საუცხოვო მასალებით სავსე ბიოგრაფიები ნ. ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ ლეონიძის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დავით ერისთავის, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, იოსებ დავითაშვილის, დიმიტრი ყიფიანის და სხვების. ამ წიგნებში ძვირფასი მასალებია დაგროვილი.

ზაქარია ჭიჭინაძის კალაში არც საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის საქმე დავიწყებია. მან თავითვე აუღო ალღო საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობას. დაწერა საყურადღებო მიმოხილვა შესახებ ქართველი ერის ვაჭრობისა და მრეწველობისა რუსეთში, სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, ბუხარაში, აღვანისტანში, ევროპაში და სხვაგან.

— ეს არის ორტომიან წიგნი. პირველი ტომი უკვე დაიაბეჭდა. მასში აღნიუსხულია დ. სარაჯიშვილის მოღვაწეობა, ზუბალა. შვილების ნავთის მრეწველობა, პურის, შაქრის, ღვინის, არაყის და წურბელის, გორგი ქართველი შვილის სამრეწველო მოღვაწეობა და სხვ. მეორე ტომი მზადაა დასაბეჭდათ. ქართველიმ კითხველი მიხვდება თუ ყოველივე ეს რა ძეირფასი მასალა ჩვენთვის. ზაქარია ჭიჭინაძემ იმ თავითვე ივრძნო ახალი ხანის დასაწყისი. იგი სოციალისტი იყო თავიდანვე. საქართველოს. დედა ქალაქის ტფილისი მასში ორნაირად ფეთქდა. — ერთი: ისტორიული ქალაქი, რომელიც უძველესი ქალაქთაგანია ქვევანაზე, რომლის ისტორია არის საქართველოს ისტორია: მას ანგრევ-დენ აბდულ-ჯაზიმები, ჯალალ-ედინები, თემურ-ლანგები, მაგრამ ეს ქალაქი იყო ისეთი ფენიქსი, როგორც საქართველო. საერთო რიცხვით ტფილისი 30 ჯერ აორსრეს. მაგრამ მტრები ტფილისისა ვერ ეღირსენ მის განაღვეურებას. ხოლო ტფილისი მეორე სახითაც ეჩვენებოდა ზაქარიას: იგი — როგორც ქალაქი — ახალი ეკონომიკური ზრდით, ელექტრონით, ავტომობილებით, პრესსით, მატარებლების კივილით, მუშათა მასებით.

როდესაც ევროპაში იწყება მასსიური მუშათა მოძრაობა, — აქ, საქართველოში, ზაქარია ჭიჭინაძეც აწყობს მუშათა

არალეგალურ კრებებს. იგი ხდება ტრაბუნი, — საქართველოში პირველად მისგან ისმის სიტყვა: „ამხანაგებო.“ იგი დაუღალავად მოქმედებს მუშებსა და ხელოსნებში. ლაპარაკობს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ. უსათუოდ, ზაქარია ჭიკინაძის მოღვაწეობა მჭიდროთაა დაკავშირებული. საქართველოში მუშათა მოძრაობის დასაწყისთან. თვით მისი სახლი იყო არალეგალური კრებების სახლი. განაპირი უბანში ზაქარიამ შეადგინა მუშა-ხელოსანთა წრე, რომელიც მაღე გაფართოვდა. ასეთი წრეებით მოიფინა ტფილისი. გამოიკა ხელნაწერი უურნალი „მუშა“ რომლის ნიმუში ლონდონის მუზეუმშია დაცული.

თვით ზაქარია ჭიკინაძემ დაიწყო მუშებში ლექციების კითხვა: რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა ხელოსნებში. ასეთ ლექციებს მაშინ იგი ხელნაწერებად ავრცელებდა და ბოლოს წიგნებადაც დაიბეჭდა: 1) პრუდონი და მისი მოღვაწეობა, 2) ლუი ბლან 3) რობერტ ოუენი. 4) სენ-სიმონ და მისი ეკონომიკური გეგმა (გამოიკა თრჯერ) 5) მარქსის „კაბიტალის“ მეორე ტომის გაცოცემის გამო („თეატრში“ 1887 წ.) 1880 წელს მან დასწერა მოელი ტომი: მუშათა და ხელოსანთა კხოვრებიდან. ამ წიგნში აწერილია 100 მეტი სახელოსნო და მათი მუშები. 1881 წელს ამ წიგნის ბეჭდვა დაიწყო უურნალმა „იმედმა“. მაგრამ შემდეგ ცენზორმა აღარ გაუშვა. ეს ვრცელი ხელნაწერი დღეს სასახლის მუშათა მუზეუმში ინახება. ყოველივე ეს ხდიდა ზაქარია ჭიკინაძეს ქართველ მუშების საყვერელ მასწავლებლად. დღეს რომელ ძევს შეგნებულ მუშას არ უნდა შეხვდეთ, ყველა ამბობს: ჩვენ ზაქარია ჭიკინაძის აღზრდილნი ვართ. იგი იყო ჩვენი შასწავლებელით. ზაქარია მათთან ერთად იზიარებდა მუშათა მოძრაობის შედეგებსაც: რამდენჯერ ციხეში ყოფილა, რამდენჯერ მისი სახლისთვის ჯაშუშები მიუყენებიათ. ჭეშმარიტად ზაქარია ჭიკინაძე ძვირფასია საქართველოს მუშათა კლასისათვის, დემოკრატიისათვის.

„თქვენი ძველი პერგამენტზე ნაწერი წიგნები გამოვატანდ
შიხეილ საბინის—სწერდა ზაქარია ჭიჭინაძეს ილია ოქრო-
მჭედლი შეილი—ისინი ტილოში კარგადაა შეკრული. ამ
წიგნებს საბინისგან მიიღებთ. ამ ძველი ხელნაწერი წიგნების
თხოვებისთვის მე დიდაც მადლობელი ვარ, იმედია ასეთ
წიგნებს ფრთხილად შეინახავთ. თქვენი შეკითხვის შესახებ
ქართული ანბანის შემოლებაზე გწერთ შემდეგს: ქსნის ოთხი
თავის სახარებამ და სხვა უძველეს დროის წიგნების შესწავ-
ლამ ჩვენ კარგად დაგვანახვა, რომ ქართული ანბანი, ნამეტურ
ხუცური გაღმოკეთებულია არა სომხურიდან — მესროპისაგან,
არამედ სომხური ანბანი უნდა იყოს ქართულიდან გადაკე-
თებული. ყოველივე ეს მოგონილია სომხების ცბიერ მეისტო-
რიებთაგან. მე ვამზადებ წერილებს ამ ბურუსის გასაფანტა-
ვად, ეს წერილები დაარღვევენ ყალბ შეხედულებას და ქარ-
თული პოლიგრაფიის ისტორიასაც ნათელს შოთენენ. მე
მიზნად მაქვს ქართული ანბანის შექმნასა და შემოლებას
მივსცე ნამდვილი ისტორიული არსებობის მტკიცე საფუძველა-
იყავით კარგად. თქვენ მალე მოესწრებით ჩვენი ისტორიული
გამოკვლევების ბეჭდვას ქართული ანბანის შემოლების შე-
სახებ. თვევნი პატივისმცემელი ილ. ოქრომჭედლი შვილი
გოსკოვი, 1882 წ.“. აქ ისევ პერგამენტზე ნაწერ წიგნებზე
საუბარი, ისევ ქართული პოლიგრაფის ისტორიაზე — ისე რო-
გორც ზაქარია ჭიჭინაძისადმი. მიწერილ ყველა წერილებში.
„თქვენი გამოგზავნილი ქართული წიგნები მივიღე — სწერს
აკადემიკოსი ბროსე — გთხოვთ გამომიგზავაოთ აკაკი წერეთ-
ლის ახალი კომედია და სხვა ახალი ქართული წიგნები.
თქვენი წერილის საპასუხოდ: მახსოვს ის დრო როცა ჩვენი
თანამემამულენი გიუს მიწოდებდენ; ქართული ისტორია და

ქართული ერის მწერლობა არ ღირს არაფრად და შესასწავლად. დამტკიცდა წინააღმდეგი — ქართველი ერი აღსდგა დამონებული მდგომარეობიდან. თქვენი მოქმედება ამის უკეთესი მაგალითია — ქართული წიგნების გამოცემა და გიორცელება... საქართველოს რუსეთის ხელში ყოფნა, როგორც თქვენ ფიქრობთ ისე არ არის, საქართველო არ არის მკვდარი, მას მხოლოდ სძინავს და მალე გაღვიძება მოელის. ქართველი ერის ეს ხანა ჰგავს ნანა დედაფლის დროს, როცა მას სულიერად სძინავდა. მაგრამ მოვიდა წმ. ნინო, სამშობლო აღსდგა ძილისაგან და ლაადგა ნათელი ცხოვრების გზას. გისურევეთ მხნეობას, დიდ შედეგებს მოიტანს თქვენი მოღვაწეობა და ქართული წიგნის გამოცემის დაწყება. აյადემიკოსი ბროსე. პეტერბურგი. 1872 წ. 4. ისევ ქართული წიგნები, ისევ საქართველოს, მდგომარეობაზე საუბარი. „პატივცემულო ზაქარია — იწყრება დავით ჩუბინაშვილი პეტერბურგიდან — თქვენი წერილი გვიან მივიღე, იგი გადმომტა მე მიხელ საბინიშვილი; ორი შაური არა გქონდა რომ ფოსტით გამოგეგზავნა? მაშინ დროით მივიღებდი და პასუხსაც მოგცემდით აქამდე. თქვენი განზრახვა ძლიერ მომეწონა. ბესიკი — ქართველი ერისთვის შუქმფენი ვარსკვლავია XVIII საუკუნის მწერლობაში. ასეთი პოეტის გამოცემა ჩვენი ერისა და მის პოეზიისთვის დიდი საჭმა; მე დროით შევკრებ ყველა ცნობებს რაც კი ჩემს წიგნისაც ში მოიპოვდა და უსათუოდ გადმოგიგზავნით. სხვაფრივ იყავით კარგად და დლეგრძელად, ეგრე იმუშავეთ ჩვენი მწერლობის ასპარეზზე. დავით ჩუბინაშვილი. პეტერბურგი.“. აი კიდევ რამდენიმე წერილი: პროფესორი ხახანაშვილი იწერება: პატივცემულო ბატონო ზაქარია, თქვენი გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ პირველი წიგნი ვნახე. მესიამოვნა, ძლიერ კარგია; ისტორიას სხვა ეხლა არავინ გამოსცემდა. ეცადეთ ისე განაგრძოთ მისი გამოცემა. „ცნობის ფურცელში“ წავიკითხე თქვენი დაუმსახურებელი კოცვა. „ქართლის ცხოვრების“ ვამოცემის

შესახებ. არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ, ას წერილი შურითაა დაწერილი. თქვენი საქმე განაგეოთ და ნურავის შეუშინდებით, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოსთ და ეგრე ყოჩალად გამოქმედოსთ. როცა „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნი გამოსცეთ, უსათუოდ გამომიგზავნეთ. თქვენი პატივის-მცემელი ალ. ხახანაშვილი. მოსკოვი 1890 წ.“. ზაქარია ჭიკინაძეს ოცი წერილი აქვს აკადემიკოსის ნიკო მარისაგან. აი ნაშევეტი ერთი წერილიდან: „ძმაო ზაქარია! უნივერსიტეტი გავათავე. დიდი სურვილი მქონდა ქართული ენის კათედრა დამეკავებინა, მაგრამ ეს განზრავე ერთმა ქართველმა მტრობით ჩამიშალა; იძულებული დავრჩი სომხური ენის კათედრაზე დაემდგარიყავი. დღეს მე სომხური ენის კათედრა მიჰირავს და უნდა ვიმუშავო სხვადასხვა პატმუტუნებზე და უთუნებზე. ვეცდები, რომ ქართულ ისტორიასა და მწერლობასა (მივწვდე, რადგან დიდათ მიუვარს და ვემსახურები შეს.

შეცად მრავალმხრივია ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა. ჩვენ
ყიტუვით: საქართველოში, შეიძლება, არც ერთ პოლიტიკურ
პარტიას არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ზაქარიამ შესძლო:—
რიცხვი არ აქვს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნებს.
თვით გამომცემელიც კი ვეღარ ახერხებს მათ ჩამოთვლას. შემ-
დეგ: იგი ოვითონ სწერდა, ოვითონ აწყობდა, ოვითონ ბეჭდავდა,
ოვითონ აფრცელებდა. ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტი საკმა-
რისად ნათელია: იგი არის წიგნის რაინდი. ზაქარია მუშ-
აობს კრიტიკის სფეროშიც და არის თავისი ღროვის უახლესი
კრიტიკის წარმომადგენელი. იგი არის ისტორიკოსი, ბიბლიო-
გრაფი, ბიოგრაფი. ზაქარია არის საქართველოში სოციალი-
სტური იდეების გამავრცელებელი და პატრიოტიც. და
როდესაც ვუყურებთ ჩვენ მას, კვლავად გვახსენდება: უღელ-
ტეხილი მამისონისა და რაჭა საიდანაც თვალწინ იშლება იმე-
რეთი, როგორც განსაკუთრებელი სანახაობა,— რიონი გააფთ-
რებული, მრავალი ათასი ბილიკებით დასერილია მთები,
დაუსრულებელი ტყეების ლანდშაფტი. იმერეთს აქვს განსა-
კუთრებული კოლორიტი და უფრო მომხიბლავია, ვინემ
მრისხანე და დილებული მთავარი გრეხილი კავკასიისა.— ნაკლე-
ბადა სჩანს ფიჭვი და ნაძვი, ხშირია ჭაღრები, გიგანტური
კაკლის ხეები და საქართველოს ეროვნული ხე ძელქვა, რკი-
ასავით მაგარი, რომელიც არსად სხვაგან არ იპოვება. და ამ
ძელქვას ემსგავსება ზაქარია ჭიჭინაძე, — ძელქვა ჩვენის ეროვ-
ნულის სულისა, რომლის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს
დაუსასწაულობს დღეს მაღლიერი საქართველო.

შ. ჭიქინაძის ნაწერი. დაბუჭვილი წიგნები

სოლომონ დოდოშვილის ცხოვრება.

პლატონ იოსელიანის სამწერლო შრომანი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ისტორიუსი დიმიტრი ბაქრაძე.

ივ. ივ. კერესელიძე უურ. „ცისკრის“ დამაარსებელი,

ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველი ეროვნების მღალადებელი.

ავაკი როგორც რუსთაველის შემდეგი მგოსანი.

იაკობ გოგებაშვილი როგორც ულიდესი პედაგოგი.

ნიკოლოზ იაკ. ნიკოლაძე.

ვახტანგ ვახტანგისძე ოჩბელიანი.

დავით ერისთავი „სამშობლოს“ დამწერი.

იოსებ დავითაშვილი.

გიორგი დავითისძე ქართველაშვილი (მრეწველობის ისტორიდან).

გრიგოლ ჩარქვიანი (ქართული მწიგნობრობის ისტორიდამ).

აბატი პეტრე სარისქისაშვილი,

პატრი მიხეილ თამარაშვილი.

ივანე გვარაძე ვინმე მესხი.

პატრი ნიკოლა და 1800 წლის საქართ. ამბები.

ქართველ კათოლიკეთა სასულიერო მოღვაწენი.

არელტი დონ ივანე ანტონოვი.

ვიზიტატორი დონ მიქაელ ანტონოვი.

ისტორია ხურსიძის გვარისა და შოთა რუსთაველი.

სამცხე საათარგოს გათათრება.

სამხრეთი საქართველო.

საქართველოს დაყოფილი სოფლები და ქართ. კათოლიკენი.

პავლე შაველიონი, მესხეთის თემის ქართ. კათ. არქა მანდრიტი 1769—1855 წლებში.

მეფე დავით ალმაშენებელი.

ქართველ ჭიოლიკეთა ეკლესია ბათუმში,
სამაგალითო ადამიანი სტეფანე ზუბალაშვილი.

ლევან კონსტანტინესძე ზუბალაშვილი,
ოსმალეთის ყოფილი საქართველო.

ქართველების გამამაღიანება.

ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადმოსახლება მუქაჯირთ-
შმიგრაცია.

მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართვე-
ლოში.

ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება.

ქართველ მაჰმადიანთ ლოცვები არაბულის სიტყვებით
და ქართული ასოებით.

ქართველ მაჰმადიანთ სახალხო ლექსები.

ალი ფაშა თავდგირიძე და მისი გვარის დალატი.

მჩერველობის წარმომადგენელი საქართველოში — დავით
სარაჯიშვილი.

მათხოვრები ანუ პაუპერიზმი და პროლეტარიატი საქარ-
თველოში.

წერილები ქართულ მწერლობაზედ.

ქართველ ქალთა ისტორიიდამ.

კორნილ კიფერი და ლევან ჯანდიერის მოლვაწეობა
1800 წლებს.

ალექსანდრე ეპისკოპოსის ოქმულებანი და მელა ქარ-
თველები.

ვოლტერი და მისი მწერლობა.

ხელოსნები და ხელოსნობა საქართველოში.

ქართველი გრიგორიანები ანუ სომხის რჯულის ქარ-
თველები.

ფარული საზოგადოების დარსების მიზეზები.

ქართველ მეფეთა დროის ქართველ რესპუბლიკანე-
ლები.

ქართული სტამბების ისტორიიდან 1625—1900.

ქართულ ფურნალ გაზეთების გამოცემის ისტორიიდან
1817—1800.

თამარ მეფე,.

საქართველოს გაერთიანება XVIII საუკუნეში.

მცხეთელი ანდრია, ალა მაჭადხანის თავის მკვეთველი.

დიდი მოურავი გომრგი სააკაძე.

სენ-სიმონი და მისი კიმუნისიტ. მოძღვრება.

ფურიე და მისი კოოპერატიული მოძღვრება.

ლუი ბლანი და მისი პოლიტიკური მოძღვრება.

პრუდონი და მისი სოციალურ ეკონომიკური მოძღვრება.

კარლ მარქსის გარდაცვალების გამო.

რუსთაველის შესახებ.

რაჭველები და რაჭის ერისთავები.

საქერთველოს შესახებ ევროპიელთა ცნობები.

საქართველოს ვაკრობა ძველათ ინთოეთში.

ქაროველები სპარსეთში.

ოსეთის ისტორია ქართულის შიგნებით.

ქართული სტამბები და ნიკ. ლოლობერიძე 1687—1918 წ.

სამცხე საათაბაგო და იქაური ხალხი.

ანტონ ნიკოლოზის-ძე ფურცელაძე.

ღიმიტრი ივანესძე ყიფიანი.

შოთა რუსთაველი.

აბდულ მესია შავთელი.

ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი.

სარგის თმოველი და მისი დილარიანი.

ქართული მწერლობა XII საუკუნეში.

ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნედან XVII საუკ.
გასვლამდის.

ქართული მწერლობა მეჩვიდეტე საუკუნეში.

ბენია ქართველ მეფეთა ხუმარა.

ლუტერის რჯულის ქართველი.

რუსეთის სამამულიშვილო ომი და ბეტრე ბაგრატიონი.

მეფე ვახტანგ მეექვსე და მისი სტამბის ისტორია.

მოკლე ისტორია ქართველის თეატრისა.

ქართველ ისრაელი და მათი ისტორია საქართველოში ისტორია ქართველი მკურნალობისა.

სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი.

საქართველოს შეფე და ორი გლახა.

დიდებული საქმე ქართველთა ერისა.

ნიკოლოზ ზუბალაშვილის სამათხოებრივ სიხლი.

მოგონება სტეფანე ზუბალაშვილზედ.

ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ.

სურათები ზუბალაშვილისაგან ნაშთენ ნაშთების.

ქველ-მოქმედ ზუბალაშვილის გვარის წევრნი.

ასპინძის ომი და მისი ისტორიის სიყალბე.

საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან.

მარიამ დედოფალმა რათ მოკლა რუსის გვნერალი ლა-ზარევი.

რუსეთის გვნერალმა სუხოტინმა როგორ მოატყულა სოლომონ მეფე.

საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება.

აღა მაჰმადხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებელი.

პეტრე დიდმა როგორ მოატყულა ვახტანგ მეგმვე.

ისტორია ფარული საზოგადოებისა და ფოლადელფის კიქნაძე.

პავლე იმპერატორმა როგორ მოატყულა გიორგი მეფე.

გერმანელი დოქტორი იაკოფ რეინგესი.

ქართველ კათოლიკეთა ქართულ ტიბიკონის ამბავი.

ტფილისის ამბოხება, ანუ დიდი ბუნტი 1865 წ.

ბატონყმობის გადავარდნის სამზადისი.

მეფე ერეკლეს და აღა მაჰმადხანის ლმში იმერლების ლალატის მოგონება.

სოლომონ ლეონიძე და მისი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ.

ცუდათ მოსიარულე მუშა ხალხი. (1500 ცალი ცენზურირდასწერს).

002

8 392

தொச 30,000 ரூ.

1. டி. பி. சு. குமார் வெள்ளக்கூடு வாங்குத், நீலகிரி. இல. எ. 20.

பி. பி. கு.

தொகை 1500.